


# გილოცავთ ახალ წელს!


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 28 დეკემბერი. 2023 წ. №147-148 (9679-9680) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


თეიმურაზ ჯანელიძე:

## ჩემი სამშობლო ჩემი ღმერთია... ამაღლდი ერო!

6



ცეზარ ლაშხი:

## ...მუხა კვლავაც შეიმოსება...

3

გულს სიყვარული აცოცხლებს...



## უშანგი დალალიშვილი — სამაგალითო მამულიშვილი

13

თეიმურაზ ქორიძე:

## ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

12

# კარგი ამბები ისმის სენაკიდან...



ვახტანგ გადელია



საბა ოდიშარია

**– სამეგრელოში შერწყმულია ქუჯი ეგრისელის სიბრძნე, გიორგი ჭყონდიდელის მწიგნობრობა, ცოტნე დადიანის რაინდობა, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული სულისკვეთება, იოსებ ჟორდანიას კაცთმოყვარეობა, ჟიული შარტავას გმირობა და თავდადება“ – თქვა ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ, როცა სოხუმში ჟიული შარტავას ცოტნე დადიანისეული (ცოტა უფრო ზეაღმატებულიც!) გმირობა იხილა... ჟიული შარტავა და მისი იმჟამინდელი მეგობრები გურამ გაბესკირია და გენო ადამია სენაკელი ბიჭები იყვნენ! იმათი ძეგლები ახლაც ერთად დგას სენაკის ცენტრში!..**

არაფერია გასაკვირი იმაში, რომ, როცა სენაკელთა დღევანდელ თაობაზე ვწერთ, გონებაში უმალ წამოტივტივდება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის თავგანწირულ გმირთა სახელები და გულწრფელად გვინდა, მომდევნო თაობებმა 30-35 წლის წინანდელი ეროვნულ-დამანგრეველი (დიახ, დიახ, ეროვნულ-დამანგრეველი!) მოძრაობის და მხედრიონელთა შავი ჭირის მიუტევებელი შეცდომები არ გაიმეორონ და ქვეყანა აშენოს წინაპართა მიქარვების გათვალისწინებით, რადგანაც ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო ამდენ სნეულებას ვეღარ უძლებს და სამოთხის სადარი მიწა-წყალი რიცხობრივად, დედაწულიანად, სულ რაღაც 50-60 წელიწადში უფსკრულში ჩაცვივდება... უფსკრულის პირას ხომ (სწორედ დემოგრაფიულად!) კარგა ხანია ვდგავართ...

ამ საახალწლოდ ზედმეტად მრუმე ფიქრებმა რომ არ ჩაგვითრიოს, ერთი მეტად მნიშვნელოვანი, დამაიმედებელი ფაქტი მოვიშველიოთ: ბოლო წლებში სენაკი და მისი „ოქროს საწმისის“ სადარი სოფლები პირველ ადგილზეა საქართველოში შობადობის ზრდის თვალსაზრისით... მუნიციპალიტეტში 55000-ზე მეტი კაცი ცხოვრობს და მხედრიონის შემდეგ, მათზე არანაკლები მანქურთი ნაცების მიერ გაუბედურებული სამეგრელოს ეს წალკოტი რაიონი, მართლაც ვაჟკაცურად, გეგმაზომიერად ვითარდება და წინ მიიწევს...

გიხაროდეთ, ქართველნო, მხოლოდ კახა კალაძის თბილისი კი არ შენდება და მშვენდება, არამედ საქართველოს რეგიონებიც (აბსოლუტურად ყველა რეგიონი) და თუ გულს სიხარული აცოცხლებს, ამ გახარებულ, კარგ ხასიათზე მყოფ კაცს, ნებისმიერ ახალგაზრდა ადამიანს, გამრავლების მეტი სურვილი აქვს და... ქვეყნის გადარჩენისაც!

ჩემს საყვარელ სამეგრელოს, სენაკელებს, ახალგაზრდა მერს **ვახტანგ გადელიას**, საკრებულოს თავმჯდომარეს **საბა ოდიშარიას** და ჩვენი 105 წლის (ყველაზე ქართული!) გაზეთის ერთ-ერთ გადამრჩენელს, რედაქციის მუდამ სასურველ ავტორს და უშურველ სპონსორს ბატონ **დემურ გადელიას** გულწრფელად ვულოცავ ახალ წელს და მშვიდობას, მშვიდობას და კიდევ ერთხელ მშვიდობას ვუსურვებ!

არის მშვიდობა, არის აღმშენებლობაც, არის გამრავლებაც და ქვეყნის გადარჩენის, აღორძინების იმედიც!



დემურ გადელია

**გმადლობთ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებავ, ერო და ბერო, დიდო პატრიარქო ჩვენთვის ასე ნანატრი მშვიდობისთვის!**

**მეტი ჩვენ არა გვინდა რა...**

**ბოლომდე დაბრმავებული ოპოზიცია კი წყალსაც წაუღია!**

**სპარტაკ ქობულია,**

**მთავარი რედაქტორი.**

იხ. 4-5 გვ.




# „ნაციონალური მოძრაობა“ აუცილებლად უმკაცრესად უნდა გასამართლდეს!

**„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ცოტა ხნის წინ პარტიის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარედ შეიარაღებული ძალების გენშტაბის ყოფილი უფროსი ზაზა გოგავა დანიშნა. ეს ის გოგავაა, რომელმაც ძველი „რუსთავი 2“-ის მიერ აგვისტოს ომის შესახებ გადაღებულ პროპაგანდისტულ ფილმში საომარი მოქმედებების დაწყება აღიარა. უფრო მეტიც, გოგავამ განმარტა, 8 აგვისტოს სამხედრო მოქმედებების წარმოებისას იმიტომ ვჩქარობდით, რომ პირველი ფაზის დასრულება საომარ მოქმედებებში რუსული ჯარის შესაძლო ჩართვამდე მოგვესწროო,** – ამის შესახებ საზოგადოებრივი მოძრაობა **„ხალხის ძალის“** განცხადებაშია აღნიშნული.

„ისიც გვახსოვს, როგორ დააანონსეს ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წყობილების აღდგენა ჯერ მამუკა ყურაშვილმა და შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა. ისიც გვახსოვს, 8 აგვისტოს როგორ საუბრობდნენ მიხეილ სააკაშვილი, კახა ლომაია და სხვები არა იმის შესახებ, რომ ქვეყანა რუსული ჯარისგან იცავდა თავს, არამედ იმის შესახებ, თუ როგორი წარმატებით იკავებდა ქართული ჯარი კონფლიქტის ზონაში დასახლებებს და როგორი წარმატებით მიმდინარეობდა კონსტიტუციური წყობილების აღდგენის ოპერაცია.

რა გასაკვირია, რომ ნაციონალებმა 2012 წელს ხელისუფლების დაკარგვისთანავე მათ მიერ კონტროლირებადი ყველა ტელევიზიიდან - მათ შორის რუსთავი 2-დან, იმედიდან და საზოგადოებრივი მაუწყებლიდან სრულად გააქრეს 2008 წლის არქივები. იმ დღეების ეთერების უწყვეტი კადრები ახლა რომ გვქონოდა, ჩვენც და იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც 2008 წელს მცირეწლოვანნი იყვნენ ან სულაც დაბადებული არ იყვნენ, სრული სიმძაფრით დაგვიდგებოდა თვალწინ იმ უმძიმესი ღალატის ქრონიკა, რომელიც ნაცმოძრაობამ 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინა.

ამ ღალატის კულმინაცია იყო ევროსაბჭოს რეზოლუცია, სადაც ნაციონალებმა საკუთარ საბრალდებო დასკვნას თავად მოაწერეს ხელი. ევროსაბჭოს რეზოლუციით მათ აღიარეს, რომ 2008 წელს საომარი მოქმედებები სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო და მეტიც, ქართულ ჯარს ის ომის დანაშაული დააბრალეს, რომელიც მას სინამდვილეში არ ჩაუდენია.

2008 წლის აგვისტოს ღალატს წინ უძღოდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრების აღდგენა, ცხინვალის რეგიონში ალტერნატიული სეპარატისტული არჩევნების ჩატარება, კოდორის ხეობისთვის ზემო აფხაზეთის დარქმევა, სააკაშვილის მიერ დევნილებისთვის 2008 წლის ბოლომდე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დაპირება, რუსეთის მიმართ უხეში რიტორიკის მუდმივი გამოყენება და უამრავი პროვოკაცია, რომელმაც, საბოლოოდ, რუსეთის მიერ საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის ოკუპაცია და ამ ოკუპაციის გაფორმება შესაძლებელი გახადა.


ქუთაისში აფეთქებული „დიდების“ მემორიალი

გარდა ამისა, 2006 წლიდან, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ მოაწყო არაერთი სამხედრო პროვოკაცია, მათ შორის რამდენიმე პროვოკაცია უშუალოდ აგვისტოს ომის დაწყებამდე განხორციელდა. ეს ყველაფერი უტყუარად ადასტურებს, რომ 2008 წლის დანაშაული არ იყო სპონტანური და დაუგეგმავი, არამედ ეს იყო ნაციონალური მოძრაობისა და მისი პატრონების მიერ კარგად გათვლილი სცენარი, რომელმაც საქართველოში რუსეთის შემოჭრამდე და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციამდე მიგვიყვანა. ბუნებრივია, ნაციონალურმა მოძრაობამ იცოდა, რომ რუსეთის სამხედრო ინტერვენციას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და ომში რუსეთი გაიმარჯვებდა. თუმცა, მათი გეგმა არც იყო წინააღმდეგობის გაწევაზე გათვლილი. მაშინ ნაციონალებმა შეასრულეს დაკვეთა, რომელიც არა საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე, არამედ გარკვეულ გლობალურ მიზნებზე იყო გათვლილი. სამწუხაროდ, ამ გლობალურ სცენარში საქართველო საკუთარმა ხელისუფლებამ საზარბაზნე ხორცის მისიისთვის გაწირა, რაც სამშობლოს ღალატი იყო.

საინტერესოა, რომ ნაციონალებმა სისხლის სამართლის კოდექსიდან ღალატის მუხლის ამოღება აგვისტოს ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე დააინიცირეს და შესაბამისი კანონი ომის დაწყებიდან ერთ თვეში, 2008 წლის სექტემბერში მიიღეს. იმავე პერიოდში ამოიღეს კონსტიტუციიდან ჩანაწერები სამშობლოს ღალატის შესახებ.

**დღეს ნაციონალური მოძრაობა კომფორტულად თანამშრომლობს სალომე ზურაბიშვილთან, გუგაზ სანიკიძესთან და სხვა პოლიტიკოსებთან, რომლებსაც თავის დროზე მკაფიოდ აქვთ ნათქვამი, რომ 2008 წლის ომი სააკაშვილმა დაიწყო. ასევე, პარტიულ თანამდებობებზე აწინაურებენ ადამიანებს, რომლებსაც საომარი მოქმედებების დაწყება აქვთ აღიარებული. ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ 2008 წელს ჩადენილი ღალატი მათ ოდნავ დისკომფორტსაც კი არ უქმნის. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი მხოლოდ ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია, რომელიც ნაციონალებს, პატიმრების წამებასთან, ბიზნესის რეკეტთან, ტელევიზიების მიტაცებასთან, არჩევნების გაყალბებასთან და სხვა უმძიმეს დანაშაულებთან ერთად, ხელისუფლებაში ყოფნის დროს აქვთ ჩადენილი.**

ჰააგაში და სტრასბურგში სასამართლო პროცესების დასრულებამდე ყველა თავს ვიკავებდით ნაციონალური მოძრაობის მიერ 2008 წელს ჩადენილი დანაშაულისა და ღალატის შეხსენებისგან, რათა მათი დანაშაულის ხაზგასმას სახელმწიფოს ინტერესები არ დაეზიანებინა. თუმცა, ხელისუფლების ძალისხმევის წყალობით, სასამართლო პროცესები საქართველოს გამარჯვებით დასრულდა. ჰააგას და სტრასბურგს საერთოდ არ უმსჯელიათ ომის დაწყების საკითხზე და დაადგინეს, რომ ქართულ ჯარს 2008 წელს არც ომის დანაშაული ჩაუდენია და არც ადამიანის უფლებები დაურღვევია.

სასამართლო პროცესები დასრულდა და სამართლებრივი რისკები აღარ არსებობს, ჩვენ კი მაინც დუმილის სტრატეგია შევინარჩუნეთ, რაც არასწორია. ახლა, როდესაც ნაცმოძრაობისთვის 2008 წლის დანაშაულის შეხსენებას საქართველოსთვის არავითარი ზიანის მოტანა აღარ შეუძლია, მათ დანაშაულზე ხელის დაფარება ყოვლად გაუმართლებელია. სამშობლოს ღალატი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, თუნდაც, იმისთვის, რომ ეს სასჯელი გახდეს მაგალითი ყველა იმ ადამიანისთვის, რომელსაც პატრიოტიზმის ნაკლებობამ მომავალში სამშობლოს ღალატი და მსგავსი დანაშაული შეიძლება ჩაადენინოს.

**ამ ყველაფრის ფონზე, კიდევ ერთხელ გვინდა დავადასტუროთ ჩვენი პოზიცია, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც დანაშაულებრივი და მოღალატეობრივი პოლიტიკური ძალა, თავისი ყველა სატელიტით და მეტასტაზით, საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე, აუცილებლად უმკაცრესად უნდა გასამართლდეს. ვფიქრობთ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდი იქნება საუკეთესო დრო ნაციონალური მოძრაობის გასამართლებისთვის. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას მყარი გარანტია საქართველოში ე.წ. პოლარიზაციის დასასრულებლად და ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად.**


ჟურნალისტებისთვის წართმეული „სამშობლო“. 2007 წლის 10 აგვისტო


უდანაშაულოთა მორიგი ჩახოცვის რიგითი კადრი



# ...მუხა კვლავაც შეიმოსება...



...„რაც შეიტანა, ისევ ის გამოიტანა,

იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ“.

...„მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო, ყიალი?! –

გულს ნუ გაიტეხ! – მუხა კვლავაც შეიმოსება“.

**1713-16 წლებში სულხან-საბა ორბელიანი დიპლომატიური მისიით მოგზაურობს საფრანგეთსა და იტალიაში, დიდი იყო იმედი, რომ ევროპა ხელს გამოუწვდიდა ქართველ ერს მაჰმადიანური სამყაროდან გამუდმებული თავდასხმების მოგერიებაში. ეწვია საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV და რომის პაპს კლიმენტი XI-ს პოლიტიკური კავშირის თხოვნითა და მეფე ვახტანგ VI ტყვეობიდან გამოსახსნელი ფინანსური დახმარებისათვის. მაგრამ ამაოდ, ორბელიანმა დიდი გაჭირვებით ჩამოაღწია სამშობლოში.**

გული არასდროს გაგვტეხია, არც გაგვიტყდება, ჩვენ ხომ ისტორიის ქარცეცხლში გამოვლილი ერი ვართ, ჩვენ ხომ ამირანის მოდგმისანი ვართ, ვაგლახ, ჩვენვე დავბორკეთ ამირანი კავკასიონზე და ყოველ წელს, როცა მას აქვს ძალა ბორკილების გაწყვეტისა, ისევ ჩვენი ძალით ვამრთელებთ ბორკილს და ხომ არ ჰგავს ეს უძველესი ლეგენდა ქართველთა ხასიათს? „უჩემოდ, რად იმღერეთა“? რად ვმტრობთ ერთმანეთს ხელისუფლებისათვის? ერთად ყოფნით ჩვენი მომრევი ჯერ არ გაჩენილა დედამიწაზე, რად ვიჩემებთ სტატუსის მოპოვებას, ხომ არ დაგვავიწყდა, „ძალა ერთობაშია“, „ქუდზე კაცი“, რომ „ჩონგური საქართველოა“. ჩემთვის და არამარტო ჩემთვის, ყველასათვის უჩვეულოდ გამოიყურებოდა ქვეყნის პრეზიდენტის „დაძახების“ მომლოდინე სახე და არა მარტო პრეზიდენტისა, არამედ უფრო საცოდავი იმ პირებისა, რომელთაც დიდად არ სიამოვნებდათ ქართველი ხალხის ეს ისტორიული მიღწევა.

რა გვჭირს, რა და, რომ დავივიწყეთ, და სხვადასხვა ვნებებს გადავაყოლეთ ჩონგურის სიმთა ჟღერანი, ნუთუ არ უნდა ვიფიქროთ გაწყვეტილი სიმის გამთელებაზე, ნუთუ ქვეყნის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების სათავეში ყოფნაა?!

„სათითაოდ ყოველ აზრსა და განწყობას აქვს მხოლოდ ერთის, საძიებელი ერთის მსგავსი ხმა. ამოცანაც სწორედ ამ მხოლოდ ერთის მსგავსი ხმის აღმოჩენაში მდგომარეობს – ყოველი ორობაჲ არა არს დასაბამ, არამედ ერთობაჲ არს დასაბამი ყოვლისა ორობისა“. ბრძანებს პეტრე იბერი.

„მე საიდანაც ვარ, იქ, ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის მდინარე დის; ერთია დუმალა, მეორე – ყვირილა. ალბათ ამიტომ მე, როგორც იქაურმა, დუმილიც მეტყველი ვიცი და ყვირილიც.

– ლაპარაკი ვერცხლია; დუმილი-ოქროო! ამბობენ ჩვენი ძველები.

ჩემი ოქრო და ჩემი ვერცხლი ჩემი სამშობლოა;
ვყვირი! – მისთვის ვყვირი!
ვდუმვარ! – მისთვის ვდუმვარ!
მხოლოდ ჩემთვის, – ღმერთმა ნურც დამაყვიროს და ნურც დამადუმოს“. ბრძანებს მუხრანი

* * *

**ჩვენს მეზობელ ჭიათურის მუნიციპალიტეტში ორი ულამაზესი სოფელია.**



ერთი საჩხერის მუნიციპალიტეტისგან გამოყოფილია მდინარე ჯრუჭულით, ესაა სოფელი დარკვეთი, ანუ დარის მკვეთი, საოცარია, მაგრამ ფაქტია, ამ მონაკვეთში დარი მართლაც იყოფა, სოფელი მდინარე ყვირილას მარჯვენა მხარეს პლატოზე მდებარეობს და ორ მუნიციპალიტეტს ჭეშმარიტად ჰყოფს დარისა და ავდარისგან.

ხოლო ყვირილის მარცხენა მხარეს ჭიათურის პლატოზე მდებარეობს დარკვეთის ანუ დარ მკვეთის საწინააღმდეგო ხასიათის სოფელი ცხრუკვეთი, ანუ ცრუ – კვეთი; დროთა ვითარებაში ცრუ-კვეთს დაემატა ასო „ხ“ და აქედანაა სახელი ცხრუკვეთი. რაც შეეხება ცრუკვეთს, იგი სავსებით ამართლებს თავის სახელს და ვერც ერთხელ ვერ კვეთავს, ვერც დარსა და ვერც ავდარს და როცა მავანს ცხრუკვეთი თავისი წინაპრების სამკვიდროდ ეგულება, და თავის ბავშვობას ამ სოფელს უკავშირებს, უნებლიეთ ჩნდება კითხვა, ხომ არა აქვს მიღებული ამ სოფლიდან ცრუ ჩვევების საკმაოდ დიდი დოზა?!

ფრანგი ისტორიკოსი ალფრედ რამბო შენიშნავდა, რომ „საქართველომ წარსულში დიდი საქმე გააკეთა და დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინა მონგოლთა და მაჰმადიანთა შემოტევების დროს, მტკიცე ზღუდეობა გაუწია ევროპას – უბედურ ევროპას. რადგანაც ეს უკანასკნელი კარგად ვერ იცნობდა საქართველოს.

310 წლის წინათ იმოგზაურა სულხან-საბამ ევროპაში, 310 წელი დასჭირდა ევროპას საქართველოს გასაცნობად. და, აჰა, აღსრულდა ქართველთა ნება-სურვილი.

ვულოცავ მუხრანს, ჩვენს დიდ წინაპრებს ამ დიდ გამარჯვებას, აქვე ვციტირებ შენი დიდებული ლექსით და ამაყი ვარ, რომ „მუხა იმოსება“, – „წუთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის, კარგა ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდი“, გიხაროდეს მუხრან, მოგვევლინა ასეთი კაცი, ის ჩვენებურია, საჩხერელი, ძალიან ბრწყინვალე თანაგუნდელებით, ღმერთი იყოს მუდამ ჟამს საქართველოს მფარველი, გილოცავთ 2024 წლის მობრძანებას, ეს წელი ხომ დიდი მოწამე ქეთევან დედოფლის დაბადების 450 და მოწამებრივი აღსასრულის 400 წლისთავის წელიწადია.

**ტკბილი საგალობელი არ გამოლეოდეს ქართველ ერს და დალოცვილი იყოს აკაკისეგურად:**

**„დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია**
**ეს საქართველო დიდჭირნახული,**
**შეუნდევ ცოდვა, ნუ ააღებ ხელს,**
**ლმობიერებით იბრუნე გული!**
**მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,**
**და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,**
**რომ აღადგინო ქართველი ერი,**
**დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!**
**მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას**
**განუმტკიცებდე აღმაფრენასა**
**და შენს საქებრად, სადიდებელად**
**ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა,**
**რომლითაც თამარ ბრძანებებს სცემდა,**
**ქეთევან მარად შენ გადიდებდა**
**და ნინო ძისა შენისა მცნებას**
**შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!“**
**რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა**
**ზეცას შეხედეს სამთავემ ნელა**
**და დაინახეს, რომ ძველ ადგილზედ**
**გამოესახათ მათ ცისარტყელა....**

**ცეზარ ლაშხი,**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი,**
**სოფელი, სხვიტორი**
**25 დეკემბერი 2023 წელი.**



# აკაკი სურგულაძის პირადი ბიბლიოთეკა და არქივი უნივერსიტეტს გადაეცა

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ აკაკი სურგულაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება გაიმართა.**

საიუბილეო სხდომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ აკაკი სურგულაძის სამეცნიერო ღვაწლზე ისაუბრა. მისი თქმით, აკაკი სურგულაძის ნაშრომები დღესაც მნიშვნელოვანი სამაგიდო წიგნია ქართველი ისტორიკოსებისთვის. **„აკაკი სურგულაძემ შეძლო, თავის გარშემო შემოეკრიბა ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები და საფუძველი ჩაეყარა საინტერესო კვლევებისთვის, რომელიც მე-19, მე-20 საუკუნეს მოიცავს“,** – განაცხადა **ჯაბა სამუშიამ.**

რექტორის თაოსნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკაკი სურგულაძის ნაშრომებს შეკრებს და ტომეულის სახით გამოსცემს; ასევე, უნივერსიტეტში ერთ-ერთ აუდიტორიას აკაკი სურგულაძის სახელი მიენიჭება.

**საიუბილეო ღონისძიებას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი უძღვებოდა. აქვე იყვნენ ცნობილი პროფესორები, სტუდენტები, აკაკი სურგულაძის ოჯახის წევრები, მოწვეული სტუმრები.**



ღონისძიებაზე ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც აკაკი სურგულაძის ოჯახმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა აკაკი სურგულაძის პირადი ბიბლიოთეკა და არქივი.

**„ჩვენი ოჯახისთვის მნიშვნელოვანი დღეა. უნივერსიტეტში აკაკი სურგულაძეს იხსენებენ როგორც მეცნიერს, როგორც საზოგადო მოღვაწეს. ის 57 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა უნივერსიტეტს“,** – აღნიშნა აკაკი სურგულაძის შვილმა, ისტორიის აკადემიურმა დოქტორმა პაატა სურგულაძემ. მისი თქმით, უნივერსიტეტში შეიქმნება აკაკი სურგულაძის ფონდი, ასევე დაფუძნდება სამეცნიერო ფორუმი – „აკაკი სურგულაძის კითხვანი“, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ისტორიკოსებს, წარმოაჩინონ თავიანთი მეცნიერული ნაშრომები.




# კარგი ამბები ისმის სენაკიდან!..

## ინტერვიუ ვახტანგ გადელიასთან

**როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, სენაკის მუნიციპალიტეტში — ქალაქად თუ სოფლად კარგა ხანია, განახლების სიო ქრის — აქტიურად მიმდინარეობს არაერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები.... ეს პროცესები უფრო თვალშისაცემი მას შემდეგ გახდა, რაც აქაურ მუნიციპალიტეტს მერად ახალგაზრდა, ნიჭიერი, გამჭრიახი, შემოქმედი და დაუღალავი კაცი ვახტანგ გადელია მოევლინა. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ამ სიკეთის მთესველი ადამიანისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ძვირფასია ყველაფერი ის, რაც ბოლო წლებში მშობლიურ სენაკს უკავშირდება.**

**იოლი არ არის, უნარიანად უხელმძღვანელო მუნიციპალიტეტს, რომლის მოსახლეობაც 55.000 აჭარბებს. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიხარულით გვითხრა, რომ ოფიციალური მონაცემებით ბოლო დროს სენაკის მუნიციპალიტეტი შობადობის მაჩვენებლებით საქართველოში პირველობსო.**

**ბატონმა ვახტანგმა 2023 წლის პირველ იანვარს პირველი რაც გააკეთა, ის იყო, რომ მერიის თანამშრომლებთან ერთად საჩუქრებით ხელდამშვენებული ეწვია სენაკის სამშობიარო სახლს. 2024 წლის 1 იანვარსაც იგივე განმეორდება.**

**სენაკში ცნობილი სამშობიარო სახლია „სენამედი“, რომელიც რეგიონული მნიშვნელობისაა. ახლომდებარე მუნიციპალიტეტებიდანაც სიამოვნებით მოდიან აქ პირმშოს მომლოდინე ახალგაზრდები.**

**რადგანაც შობადობამ იმატა, „სენამედი“ საქმეს ვერ აუდის, ამიტომ ძველი სამშობიარო სახლის რეკონსტრუქცია გახდა აუცილებელი. 2024 წელს მისი რეაბილიტაციისთვის დამატებით 700.000 ლარი გამოიყოფა.**

წინასაახალწლო დღეებში ბატონი ვახტანგი ერთობ მოუცლელი გახლდათ, რადგან, ასე ვთქვათ, კარდაკარ დადიოდა და მოსახლეობას 2023 წლის ანგარიშს აბარებდა. როგორც იქნა, ჩვენთან სასაუბროდაც გამონახა დრო.

– უპირველესად, უნდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენს სახელისუფლო გუნდს, მივულოცო უდიდესი მონაპოვარი – ღირსეულად მოპოვებული დამსახურებული სტატუსი, – გვითხრა მან. – საქართველოს მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა 2012 წლიდან დღემდე კიდევ ერთხელ დაგვანახვა ყველას, რომ უალტერნატივოა.

– **ბატონო ვახტანგ, ბოლო კვირის განმავლობაში თქვენ სენაკის მუნიციპალიტეტის 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში შეხვდით მოსახლეობას და მერიის საქმიანობის 2023 წლის შედეგები წარუდგინეთ...**

– მიმაჩნია, რომ მსგავსი კომუნიკაცია საუკეთესო საშუალებაა განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების გასაცნობად, მოსახლოების საჭიროებების წარმოსაჩენად. ჩვენთვის პრიორიტეტი, სწორედ, ხალხისგან წამოსული თაოსნობებია. მუნიციპალიტეტის შემდგომ განვითარებასა და განახლებაში თითოეულმა სენაკელმა უნდა მიიღოს უშუალო მონაწილეობა. ეს პროცესი კი შეუქცევადი იქნება.

მერად არჩევის პირველი დღიდანვე მოსახლეობასთან ურთიერთობისთვის ღია გზა ავირჩიე – თხუთმეტსავე მუნიციპალიტეტში პირადად ვხვდები მოქალაქეებს, უშუალოდ ვეცნობი მათს მოსაზრებებსა და საჭიროებებს, ვაცნობ ჩვენს გეგმებს. ეს არ არის საარჩევნო დაპირებები. მე მათთან გულახდილი ვარ – ტკბილ ტყუილს მწარე სიმართლის თქმა მირჩევნია: არ ვეტყვი იმას, რასაც ვერ შევასრულებ.

არაერთხელ დავრწმუნდი, რომ ადამიანებს სიამოვნებთ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან დიალოგი, სჯა-ბაასი, ნდობა უღრმავდებათ ჩვენ მიმართ და არ მინდა, იმედები გავუცრუო. ამ შეხვედრებისას რასაც შევპირდით მოსახლეობას, ყველაფერი შევასრულეთ, ამიტომ ახალი წლის წინა დღეებში მათთან პირისპირ შეხვედრისა არ მოგვრიდებია. ავუხსენით, რას მივაღწიეთ ამ ერთი წლის განმავლობაში – რა გავაკეთეთ და რას ვგეგმავთ სამომავლოდ.

მნიშვნელოვანი წინსვლა გვაქვს აბსოლუტურად ყველა სფეროში, კერძოდ, სოციალური პროგრამებითა და მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებით, განათლების, კულტურის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის სექტორების განვითარებით და ხელმისაწვდომობით, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისებით, ჩვენი მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი, შედეგზე ორიენტირებული გუნდური მუშაობით.

– **ადგილობრივ ბიუჯეტზე საუბრით ხომ არ დაგვეწყო?**

– სიამოვნებით. მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტი, ჩვეულებრივ, ძალიან მცირეა, ამიტომ ცენტრალური ხელისუფლების დახმარება რომ არა, ბევრს ვერაფერს



საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ბიუსტი სენაკში

გავაკეთებდით. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი 19.746.100 ლარით განისაზღვრა, რაც 2022 წელთან შედარებით, 3.849.900-ით მეტია. 2024 წლის ბიუჯეტი კი 22.274.600 ლარს შეადგენს, რაც წლევანდელ წელთან შედარებით 2.528.500 ლარით გაიზარდა. მერად ჩემს არჩევამდე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 15.5 მილიონი ლარი იყო, დღეისთვის კი, როგორც გითხარით, ის 22.5 მილიონ ლარს აღწევს.

დახმარებას მივიღებთ კულტურისა და სპორტის სამინისტროდან. 2021 წელს ეს დახმარება 5 მილიონამდე თუ იყო, წლეულს იგი 7.5 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტი ახალი პროექტების განხორციელების საშუალებას მოგვცემს.

– **როგორც ვიცი, თქვენი მთავარი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება გახლავთ.**

– არა მხოლოდ. თუმცა ინფრასტრუქტურით დავიწყებ: 2023 წელს ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში 47 კილომეტრი გზა დაიგო. საგაისოდ კი 50 კილომეტრზე მეტი გზის მშენებლობაა დაგეგმილი.

რაც შეეხება სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციის პროცესს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული მასშტაბური პროგრამის – „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ქალაქ სენაკს 2 განახლებული, მრავალფუნქციური, რეკრეაციული სივრცე შეემატა. ამჟამად გრძელდება ქალაქის ცენტრალური მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია.

ჩემი მერობის პერიოდში, 2021-2023 წლებში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში 2 270 709 ლარის ღირებულების 146 პროექტი განვახორციელეთ, მარტო წლეულს - 31 პროექტი, რისთვისაც 759 200 ლარი დაიხარჯა.

საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, დასრულდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ძველი სენაკის საჯარო სკოლის კაპიტალური შეკეთება, ამჟამად 4 სკოლის – ჟიული შარტავას სახელობის №2, ნოსირის, ხორშისა და უშაფათის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ამასთანავე, უახლოეს ხანში დამთავრდება ქალაქის №3, ლეძაძამის, ფოცხოს და ძველი სენაკის საბავშვო ბაღების მშენებლობა.

2023 წელს ავაშენეთ და რეაბილიტაცია ჩავუტარეთ 2 ხიდს. ამდენივეა დაგეგმილი მომდევნო წლისთვის.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, 2023 წელს გადაიხურა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების 14 კორპუსი, რეაბილიტაცია ჩავუტარეთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების 7 კორპუსს, ადმინისტრაციული შენობების, საბავშვო ბაღების და ამბულატორიის სახურავებს; სტიქიური მოვლენების (ქარიშხლის) შედეგად დაზარალებულ 460 ოჯახს საკომპენსაციოდ 208 000 ლარი გამოეყო.

22 ივნისის სტიქიის (წყალდიდობის) შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 3 100 000 ლარის ფარგლებში განვახორციელეთ სანიაღვრე სისტემის, რკინა-ბეტონის ჯებირების აღდგენა-რეკონსტრუქციის, ხიდების, ხიდბოგირების გაბიონების მოწყობის მასშტაბური სამუშაოები. სტიქიის შედეგად დაზიანებული 45 ინფრასტრუქტურული ობიექტის აღსადგენად 2 220 000 ლარია გათვალისწინებული.

– **სასპორტო ინფრასტრუქტურაზე არაფერი გითქვამთ...**

– 2023 წელს 3 მინი სასპორტო მოედანი მო-





აკაკი ხორავას სახელობის სენაკის თეატრი და კულტურის ცენტრი

ვაწყვეთ. ახლა ქალაქის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე მიმდინარეობს კიდევ ერთი სასპორტო ბაზის მშენებლობა, 2024 წელს მათს რიგებს კიდევ 3 მოედანი შეემატება..

**– საქართველოს გარკვეულ რეგიონებში მოსახლეობისთვის მტკივნეულ საკითხად რჩება გაზიფიცირება და წყალმომარაგება. სენაკის მუნიციპალიტეტში ამ მხრივ რა მდგომარეობაა?**

– 2023 წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის 10 სოფელში დამთავრდა გაზიფიცირება – ბუნებრივი აირის ქსელს 950 აბონენტი შეუერთდა. ამჟამად გაზგაყვანილობის სამონტაჟო სამუშაოები 11 სოფელში მიმდინარეობს. 2024 წელს 18 სოფელში დაიწყება გაზსადენის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები.

ყველაზე დიდი პრობლემაა მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა. ქალაქ სენაკის ერთ ნაწილს წყალი 24-საათიანი რეჟიმით მიეწოდება, მეორე ნახევარს კი – გრაფიკით. წყალმომარაგების კომპანიებთან მჭიდრო ურთიერთობით უკვე მომზადებულია ქალაქის უწყვეტად წყალმომარაგების პროექტი და სამუშაოებიც მალე დაიწყება. რაც შეეხება ადმინისტრაციულ ერთეულებს, თხუთმეტივეში ვერ მოვახერხებთ პროექტირებასა და სამუშაოების დაწყებას, ამიტომ გაისად მხოლოდ სოფელ ნოსირსა და ახალი სოფლის ერთ-ერთ უბანში დავიწყებთ წყალმომარაგების სისტემის დამონტაჟებას. საერთოდაც, ამ მიმართულებით ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად მნიშვნელოვან პროექტებს განვახორციელებთ. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ პრობლემას ხელის ერთი დაკვრით გადავჭრით.

**– მოსახლეობასთან შეხვედრებისას თქვენ განსაკუთრებული ყურადღება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროზეც გაამახვილეთ.**

– 2023 წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის 17 პროგრამით 32 970 მოქალაქეს 1.737.764 ლარის დახმარება გავუწიეთ. წლეულს პირველად დავნერგეთ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა, რითაც 19 მოზარდი სარგებლობს.

მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 2100 პირი გვყავს. მათთვის 17 ახალი პროგრამა განვახორციელეთ. ერთ-ერთი პროგრამა, რომელიც ახლახან დავამატეთ, ითვალისწინებს შშმ პირთა ადაპტირებას ჩვეულებრივ მოქალაქეებთან და მათს წვდომას ბიზნესთან. ამ ადამიანების აქტიური ჩართულობით შექმნილი გვაქვს შშმ პირთა ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭო, სადაც განვიხილეთ და გამოვაცხადეთ საგრანტო კონკურსი, რომლიც ფარგლებშიც 3 პროექტი დავაფინანსეთ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ბიზნესში ოჯახის წევრებთან ერთად არიან ჩართულნი.

მნიშვნელოვანი სიახლეც გვქონდა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ერთ-ერთ პირს, რომელიც ხუთსართულიან სახლში ცხოვრობდა, კორპუსში ლიფტის უქონლობის გამო შინ შესვლა უჭირდა. პირობების გაუმჯობესების მიზნით, შენობის გარედან მოვუწყვეთ სპეციალური ლიფტი. ეს პროგრამა ძალიან მოეწონათ უცხოელებსაც და იდეა უმალ აიტაცეს.

საგულისხმოა, რომ 2023 წელს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჩვენი საგრანტო პროგრამა საუკეთესო მუნიციპალური პრაქტიკის პროგრამად დასახელდა. ეს საშუალებას გვაძლევს მომავალი წლისთვის ამ მიმართულების გასავითარებლად ბიუჯეტი გავაორმაგოთ, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ამ პროექტებში ფართოდ ჩაბმის საშუალებას მისცემს.

წლეულს დავიწყეთ და მომავალი წლისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროექტს – „საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ADOS-ის კვლევის დანერგვა მუნიციპალიტეტში“. არა მარტო სენაკის მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი სამეგრელოს მასშტაბით რისკის მქონე მოზარდებისთვის ხელმისაწვდომი გახდება „ოქროს სტანდარტად“ აღიარებული ADOS-ის კვლევის ადგილზე ჩატარება, დიაგნოზის დროული დასმა და მკურნალობა-რეაბილიტაცია, რადგან 2024 წელს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების ბიუჯეტი 2.199.500 ლარი იქნება.

**– თირკმლების მწვავე უკმარისობის გამო სენაკის მუნიციპალიტეტში 24 ადამიანია ჰემოდიალიზზე დამოკიდებული. ისინი სხვადასხვა ქალაქის ნეფროლოგიისა და დიალიზის ცენტრების მომსახურებით სარგებლობენ...**

– კარგად მესმის, ოთხსაათიანი პროცედურის შემდეგ, რა რთულია სახლამდე ათეული კილომეტრის გავლა. ამიტომ მერად არჩევის პირველივე დღეებიდან ვითხოვ სენაკში თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრის გახსნას, მით უმეტეს, რომ ამ საქმეში მხარს გვიჭერენ მთავრობის ადმინისტრაცია და ჯანდაცვის სამინისტრო. იყო სხვადასხვა შემოთავაზება, კერძოდ, სხვა მუნიციპალიტეტებთან საზიაროდ გახსნილიყო ასეთი დაწესებულება. ბოლოს ჩვენი დეპუტატის გიორგი ხახუბიას დახმარებით მივაღწიეთ სენაკში დიალიზის ცენტრის მშენებლობას. პაციენტებს 8 აპარატი მოემსახურება. საწყის ეტაპზე ეს საკმარისი იქნება. ცენტრის მშენებლობა და მომავალი წლის ბოლომდე მისი ამოქმედება კერძო კომპანია „არქიმედეს“ დაევალა. მერია ჰემოდიალიზზე დამოკიდებულ ადამიანებს მატერიალურ დახმარებას უწევს.

**მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი უკვე დამტკიცდა. პრიორიტეტებად ისევ რჩება ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი, დასუფთავება და გარემოს დაცვა. ვფიქრობთ, რომ ხალხისთვის მიცემულ პირობას გაისადაც პირნათლად შევასრულებთ.**

**ახლა კი ვისარგებლებ შემთხვევით და ჩემს სენაკელებს, სრულიად საქართველოს შობა-ახალ წელს მივულოცავ. თითოეულ ადამიანს, უპირველესად, ჯანმრთელობას, პირად სიმხნევეს, ბედნიერებას, ბარაქას და დასახული მიზნების ასრულებას ვუსურვებ!**

**კუჩხი ბედინერი, საქართველოვ!**

ესაუბრა

**ვაჟა დანელია**



დემურ გადელია სენაკელ მშენებლებთან ერთად



## დავით ქართველიშვილი:

# რომელი პოლიტიკოსი დაიმსახურებს ავლიპ ზურაბაშვილის პრემიას?!

„ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** საქართველოში წლის შემაჯამებელი ჯილდოს, ავლიპ ზურაბიშვილის სახელობის პრემიის დაწესების ინიციატივით გამოდის. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ამის საფუძველს იძლევა ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან ფსიქიატრიის დონეზე გაკეთებული განცხადებების სიმრავლე.

**„წლის ბოლოს შემოვიღოთ და დავაწესოთ ერთგვარი წლის შემაჯამებელი ავლიპ ზურაბაშვილის სახელობის პრემია და მივანიჭოთ რომელიმე პოლიტიკოსს. არ აქვს მნიშვნელობა, ვის გადაეცემა პრემია – თუ მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენელი იქნება, წარვადგინოთ და თუ ეს ოპოზიციის მხრიდან იქნება, დავასახელოთ ისიც,“** – განაცხადა **დავით ქართველიშვილმა.**

მან კომენტარი გააკეთა ევროკომისრის ოლივერ ვარჰეის მხრიდან საქართველოს მხარდამჭერ განცხადებაზე და აღნიშნა, რომ ეს განცხადება რეალობას სწორად ასახავს.

**„ის ევროპულად აფასებს საქართველოს ხელისუფლებას და იმ ხალხს, რომელმაც ეს ხელისუფლება აირჩია და ამავდროულად, დღის წესრიგში აყენებს ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხს – წლის ბოლოს შემოვიღოთ და დავაწესოთ ერთგვარი წლის შემაჯამებელი ავლიპ ზურაბაშვილის სახელობის პრემია და მივანიჭოთ რომელიმე პოლიტიკოსს. არ აქვს მნიშვნელობა, ვის გადაეცემა პრემია, თუ მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენელი იქნება, წარვადგინოთ და თუ ეს ოპოზიციის მხრიდან იქნება, დავასახელოთ ისიც, იმიტომ, რომ მთელი ეს წელიწადი გავიდა საშინელი სტიგმატიზაციის ფონზე. რაღაც ფსიქიატრიის დონეზე გაკეთებულმა განცხადებებმა დაფარა სივრცე. წლის პირველი ნახევარი დაეთმო ე.წ. „რუსულ კანონს“. ეს ის კანონია, რომელსაც ჩვენ დიდი ალბათობით, აუცილებლად დავუბრუნდებით, როდესაც ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საკითხს მივუახლოვდებით.**

**როდესაც საუბარი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ მიიღებდა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, აღიარა ყველამ – ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაწყებული, ევროკომისრის ბოლო განცხადებით დამთავრებული, რომ სტატუსის მიღება არის ზუსტად ამ ხელისუფლების და იმ ხალხის დამსახურება, ვინც ეს ხელისუფლება აირჩია. ამიტომ, ვინც ამ ყველაფრის საწინააღმდეგოს ქადაგებდა, ცდილობდა პოლიტიკური ვანგას პოზიციაში ყოფნას, ის აღმოჩნდა ძალიან სასაცილო, ფსიქიატრიულად სასაცილო პოზიციაში და ავლიპ ზურაბაშვილის პრემია აუცილებლად არის შესაქმნელი. აი ნომინანტი კი, ძალიან ბევრია და ერთმანეთში გაარკვიონ, ვინ, როგორ და რანაირად. კონკურენცია ოპოზიციური სპექტრიდან გამომდინარე ძალიან მაღალი იქნება,“** – განაცხადა **დავით ქართველიშვილმა.**

# ჩემი სამშობლო ჩემი ღმერთია...



**წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო, ნათქვამია და ამ შეგონების მართებულობა ცხოვრებისეული გამოცდილებით არის გამყარებული, მაგრამ შედეგების შეჯამებისთვის საუკეთესო დროს, მაინც საახალწლო პერიოდი წარმოადგენს.**

**გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ დადებითი ტენდენციის მიუხედავად, 2023 წელი ერთ-ერთი ურთულესი და მძაფრი შეგრძნებებით გაჯერებული იყო დამოუკიდებელი საქართველოს უახლოეს თვალსაწიერში.**

შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებას თავი რომ დავანებოთ, სახიფათო მასშტაბებს აღწევდა ზეწოლა კოლექტიური დასავლეთიდან ე.წ. მეორე ფრონტის გახსნისა და ლგბტ საზოგადოებისთვის სასათბურე პირობების შექმნის კატეგორიული მოთხოვნის ჩათვლით. ეს იყო კარგად ორკესტრირებული პროპაგანდისტული კამპანია, რომელთან გამკლავება ჩვენზე მძლავრი რესურსების მქონე სახელმწიფოსაც კი გაუჭირდებოდა, მაგრამ უფლის შეწევნითა და ფართო საზოგადოების მხარდაჭერით, ხელისუფლებამ მშვიდობიანად გაიარა ბეწვის ხიდზე.

საერთო შედეგებითა და წლის განმავლობაში გასაჯაროებული ფარული მიყურადების მასალებით თუ ვიმსჯელებთ, სპეცსამსახურების მუშაობით კმაყოფილი უნდა ვიყოთ, მაგრამ, ისევე როგორც 7 ოქტომბრის ტრაგედიამ ისრაელში, 7-8 მარტის მოვლენებმა საქართველოს დედაქალაქში, არაერთი კითხვის ნიშანი გააჩინა, რომლებზეც პასუხი აუცილებლადაა გასაცემი.

ყველაზე რბილი შეფასებით, გაკვირვებას იწვევს მოძრაობა „ხალხის ძალის“ მიერ უცხოური გავლენის აგენტების დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის ინიცირება და საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მისი დაჩქარებული წესით განხილვა, საზოგადოებრივი განწყობების შესწავლის გარეშე, როცა მწვავე კრიტიკული სიგნალების ნიაღვარი მოდიოდა ევროპა-ამერიკიდან.

2023 წლის 7-8 მარტის დრამატული მოვლენები იმითაც არის საყურადღებო, რომ პერმანენტული პოლიტიკური დაპირისპირების 35-წლიანი პერიოდის მანძილზე პირველად იქნა გამოყენებული ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი სამართალდამცავი სტრუქტურების წინააღმდეგ, ადამიანებზე პირდაპირი დამიზნებით, რასაც განზრახ მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ხსენებული კანონის მიღება კოლექტიური დასავლეთის ინტერესებში არ შედიოდა, შეგვიძლია გავიხსენოთ ორი მაგალითი. პროცესის ესკალაციის პირველივე დღეს პროტესტანტების მხარდასაჭერად ჩამოფრინდა გერმანელი ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ-კრამონი, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა ვენეციის კომისიიდან უკან გამოიწვია პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი და 10 მარტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით ჩააგდო იგი, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა „ტვიტერზე“ გამოაქვეყნა ქართულენოვანი პოსტი: „ცნობილია ქართველების ერთგულება დემოკრატიული ღირებულებების, პრესისა და გაერთიანების თავისუფლების მიმართ. ევროპისკენ შეტრიალებულმა საქართველომ იცის, რომ საფრანგეთის მეგობრობის იმედი უნდა ჰქონდეს“.

ახლა, როცა რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად ახლო აღმოსავლეთში გლობალისტური გეოპოლიტიკური ძალები არიან დაპირისპირებული, რაც თავისთავად გულისხმობს აგენტურის გააქტიურებას, ევროკავშირის ქვეყნები აქტიურად მუშაობენ იგივე შინაარსის კანონის მიღებაზე, რომელიც ქართველებს ლამის თავზე გადაგვახიეს. ცამდე მართალი ყოფილან ძველი რომაელები: „რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს!“



ხშირად გაიგონებთ, ქართველები პატარა ერი ვართ და მეტი თავშეკავება გვმართებსო, არადა, პატარა კი არა, მცირერიცხოვანი ერი ვართ, უმდიდრესი წარსულით და შთამბეჭდავი პერსპექტივით, თუკი არსებულ რესურსს რაციონალურად გამოვიყენებთ.

მშობლიურ სახლში აუგზე მხოლოდ სულმდაბალი ადამიანი ღვარძლიანობსო, ამბობდა სუხომლინსკი, რაც ოპოზიციად წოდებულ ქართულ პოლიტიკურ აქტორებზეა ზედგამოჭრილი. ხატია დეკანოიძეს თავი რომ დავანებოთ, რომელიც უკრაინის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში არარსებული „შავი ხვრელების“ არსებობაზე საუბრობდა ჩვეული უტიფრობით, სალომე სამადაშვილი და ჭიჭე ვაშაძე ევროპა-ამერიკაში იყვნენ ბინძური ჭორების გავრცელებით დაკავებული. სამაგიეროდ, მთავრობის საგარეო პოლიტიკა იყო იმდენად ეფექტური, რომ იგივე ევროპა-ამერიკაში, კუბილიუსი-ფოტიგა-იუკნევ-ჩიანე-კრამონ-კინზინგერის თავგანწირული მცდელობის მიუხედავად, სიტუაცია სწორად შეაფასეს და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების საკითხში ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოგვიცხადეს.

**პატივისცემას იმსახურებს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პრინციპული პოზიცია, რომელმაც კრიტიკულად განწყობილ ოპონენტებთან ურთიერთობისას არაერთხელ გამოიყენა ეფექტურად, ჭადრაკში ფართოდ გავრცელებული სიცილიური დაცვის მეთოდი, რაც მოწინააღმდეგეზე თავდასხმას გულისხმობს, თავდაცვის მიზნით!**

უაღრესად პროდუქტიული აღმოჩნდა პრემიერ ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, რომლის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება, უბრალოდ, შეუძლებელია. ვინც ჩინურ კულტურას სიღრმისეულად იცნობს, ისიც ეცოდინება, რომ როცა ჩინელი მასპინძელი სტუმრის შესახვედრად მეუღლის თანხლებით გამოდის, ეს არის პატივისცემის უმაღლესი გამოხატულება და განსაკუთრებული დიპლომატიური ჟესტი.

ჭკვიანი ყოველთვის მონახავს გამოსავალს ჩიხური სიტუაციიდან, ბრძენი კი არასოდეს მოხვდება ჩიხურ სიტუაციაშიო, გვასწავლის ჩინური სიბრძნე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამჟამად ჩიხურ სიტუაციაში არ იმყოფება, ხელისუფლება მაინც ეძებს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს და, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცება საუკეთესო არჩევანია.

**გასაგებია, რომ ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია საქართველოზე გამავალი ე.წ. აბრეშუმის გზა ანუ იგივე შუა დერეფანი და დაინტერესებულია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობით, მაგრამ არსებული გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ჩვენთვისაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ისეთ სუპერსახელმწიფოსთან სტრატეგიული მოკავშირეობა, რომელსაც ანგარიშს უწევენ შეერთებული შტატები, რუსეთის ფედერაცია და ევროკავშირი, რაც თვალნათლივ დაგვანახა ურსულა ფონ დერ ლაიენის ვიზიტმა პეკინში.**

ჯერ კიდევ 2022 წლის დეკემბერში, როცა ქართველი მოლაყბე თავები რუსეთის აღსასრულს წინასწარმეტყველებდნენ, ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინთან ერთობლივ ვიდეოკონფერენციაზე პუტინი



ოპტიმისტურად იყო განწყობილი: „ჩვენ ერთნაირი შეხედულება გვაქვს გლობალური გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ტრანსფორმაციის მიზეზებზე, მიმდინარეობასა და ლოგიკაზე, დასავლეთის უპრეცედენტო ზეწოლისა და პროვოკაციების პირობებში. ვიცავთ ჩვენს პრინციპულ პოზიციებს და ვიცავთ არამხოლოდ საკუთარ, არამედ ყველას ინტერესებს, ვინც მხარს უჭერს ჭეშმარიტად დემოკრატიულ მსოფლიო წესრიგს და ქვეყნების უფლებას, თავისუფლად განსაზღვრონ საკუთარი ბედი“.

ქართველებს, საკუთარი მწარე გამოცდილების საფუძველზე, სრული უფლება გვაქვს არადამაჯერებლად მივიჩნიოთ რუსეთის პრეზიდენტის პათოსი ქვეყნების უფლებაზე „თავისუფლად განსაზღვრონ საკუთარი ბედი“, მაგრამ ორი გიგანტური სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველებს რომ ერთნაირი შეხედულება აქვთ „გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ტრანსფორმაციის მიზეზებზე, მიმდინარეობასა და ლოგიკაზე“, თვალსაჩინოდ დაადატურა ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა, სადაც აშკარად გამოიკვეთა რუსეთ-ჩინეთის ინტერესები.

იმ ფონზე, როცა საქართველოში ხიდაშელ-უსუფაშვილის მიერ გნიასი იყო ატეხილი, „ქართულმა ოცნებამ“ რუსეთი არ იკმარა და ახლა კომუნისტური ჩინეთისკენ გადაიხარაო, ჩინეთის პრეზიდენტი სან-ფრანცისკოში ჩაფრინდა აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმში მონაწილეობის მისაღებად და, ცხადია, ამერიკელ კოლეგასთან გამართა მოლაპარაკება. მიუხედავად იმისა, რომ დახურულ კარს მიღმა გამართული მოლაპარაკება იქნებოდა დაძაბული, ორივე მხარის საჯარო განცხადებები იყო უაღრესად კორექტული, რადგან მოლაპარაკებას ალტერნატივა არ გააჩნია. „ორი დიდი ქვეყნის, როგორიც ჩინეთი და შეერთებული შტატებია, ერთმანეთზე ზურგის შექცევა არჩევანი არ არის. არარეალურია, ერთმა ქვეყანამ მეორის რემოდელირება მოახერხოს. კონფლიქტსა და კონფრონტაციას ორივე მხარისთვის აუტანელი შედეგები მოაქვს“, – განაცხადა ჩინეთის პრეზიდენტმა.

კონფლიქტსა და კონფრონტაციას რომ აუტანელი შედეგები მოაქვს, ეს ყველა პასუხისმგებლიანმა პოლიტიკოსმა იცის მსოფლიოში, ჩვენებური ჯაფარიძე-ხოშტარიების, ვაშაძე-ხაზეიშვილების და მათი მენტალიტეტის მქონე იმ პროვოკატორების გარდა, რომლებიც მიზანმიმართულად მტრობენ საკუთარ ქვეყანას, პირადი ინტერესების სასარგებლოდ.

მართალია, საჯაროდ არაფერი თქმულა, მაგრამ სი ძინპინი-ბაიდენის შეხვედრაზე მწვავე დისკუსიის საგანი იქნებოდა ტაივანის საკითხი, რაც მას შემდეგ გააქტიურდა, როცა 2022 წლის მაისში აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მაშინდელი ლიდერი ნენსი პელოსი ტაიბეიში ჩაფრინდა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან გამართა კულუარული მოლაპარაკება, რამაც, ცხადია, ოფიციალური პეკინის მძაფრი რეაქცია გამოიწვია.

**სხვათაშორის, ნენსი პელოსის პროვოკაციული ვიზიტი ძალიან მაგონებს სალომე ზურაბიშვილის საქციელს, რომელიც შატალოზე გაპარული თინეიჯერი გოგონასავით აწყობს უცხოურ ტურნეებს და გამომწვევად უგულებელყოფს კონსტიტუციის ფუნდამენტურ მოთხოვნებს.**

ჩვენ უნდა ვიყოთ კანონის მონები, რათა გავხდეთ თავისუფალნიო, ამბობდა ციცერონი. ვერ გეტყვით, ისწავლებოდა თუ არ ციცერონის შრომები პარიზის დიპლომატიურ აკადემიაში, მადამ პრეზიდენტი რომ კანონზე მაღლა აყენებს საკუთარ პერსონას, ეს ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით დაადასტურა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ.



გულწრფელად ვწუხვარ, ამის შეხსენება რომ მიწევს აწ უკვე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ქალბატონ სალომესთვის, მაგრამ გასული წლის ზაფხულში, ვიდრე უკრაინაში გაემგზავრებოდა მხარდაჭერის გამოსახატავად, გერმანიის ბუნდესტაგის ოპოზიციის ლიდერი ფრიდრიხ მერეცი კანცლერ ოლაფ შოლცს დაუკავშირდა ტელეფონით და საქმის კურსში ჩააყენა იგი, რაც პოლიტიკური პასუხისმგებლობის მკაფიო გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

**სალომე ზურაბიშვილის ქმედება ეწინააღმდეგება „ქართული ოცნების“ კურსს და აძლიერებს ოპოზიციასო, თქვა რომან გოცირიძემ, რასაც შეუძლებელია არ დავეთანხმოთ. უფრო გამარტივებულად თუ ვიტყვით, სალომე ზურაბიშვილი ის თვითგამოცხადებული არქეოლოგია, რომელიც თავს უფლებას აძლევს, სადაც მოესურვება, იქ გათხაროს და საქართველოს ძირი გამოუთხაროს!**

**2023 წლის შედეგების მიხედვით, ხელისუფლების აქტივში უაღრესად მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რომელიც განსაკუთრებული მღელვარების საგანი იყო მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში.**

**რაც უნდა გასაკვირად მოეჩვენოს ვინმეს, ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნის ერთსულოვან მხარდაჭერას საკუთარ დამსახურებად მიიჩნევენ ის რადიკალები, რომლებმაც ყველა შესაძლო ბერკეტი გამოიყენეს საპირისპირო შედეგის მისაღწევად, თუმცა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ცხადია, მოგვილოცეს შარლ მიშელმა, ურსულა ფონ ლაიენმა, რობერტა მეცოლამ და „მარგალიტა გიცოლამ“, მაგრამ პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული იმ გიძია-გიცოლებს, რომლებსაც, კელი დეგნანის ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, შავი დღე გაუთენდათ 2023 წლის 14 დეკემბერს.**

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პროგნოზების გაკეთება თანამედროვე პირობებში სარისკო და უმადური საქმეა, მაინც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. მიშელ ნოსტრადამუსის მინიშნებით, 2024 წელს ჩინეთი მყარად დაიმკვიდრებს ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს ადგილს მსოფლიოში და მისი ძალისხმევით თავიდან იქნება აცილებული მესამე მსოფლიო ომი. ეს გზავნილი იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ ბოლო მოეღება რუსეთ-უკრაინის ყოვლად გაუმართლებელ დაპირისპირებას, რომელიც გლობალური ომის პარტიის მიერ არის ინსპირირებული.

**იმის გათვალისწინებით, რომ 2024 წლის შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაა განზრახული, ისეთი კონფიგურაციის მომსწრენი შეიძლება გავხდეთ, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდით. ერთი რუსული გამოთქმისა არ იყოს, „Яблоко от яблони далеко не подает“, ამიტომ ჯერ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობიდან გადარჩეული, მერე კი პარტიიდან ღირსების შემლახავი ფორმით გაძევებული ნიკანორ მელია შექმნის იგივე იდეოლოგიის პარტიას, რადგან ასეთი მენტალიტეტის ადამიანები არა რაციონალურად, არამედ „ნაციონალურად“ აზროვნებენ. აბა, დაუკვირდით, როგორ ორგანულად შეერწყა ჭიჭე ვაშაძის „სტრატეგია აღმაშენებელი“ მშობელ პარტიას, რომლის წიაღში ჩამოყალიბდა მისი გაუკუღმართებული მსოფლმხედველობა.**

გამორიცხული არაა, ახალი პოლიტიკური ცენტრის ინიციატორებად ვიხილოთ გუბაზი, არმაზი და ხაზაზი, რომელთაგან პირველი გახდება პარტიის თავმჯდომარე, მეორე – გენერალური მდივანი, ხოლო მესამე ანუ უკანასკნელი – აღმასრულებელი მდივანი, რადგან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს, ვარდების რევოლუციის პირობებში.

კულუარული ინფორმაციით, პარტიის ეკონომიკურ კონცეფციაზე მუშაობს ქართველი ლუდვიგ ერჰარდი რომან გოცირიძე, რაც იმის უტყუარ გარანტიად უნდა მივიჩნიოთ, რომ ლარის კურსის სტაბილურობას საფრთხე არ დაემუქრება და ინფლაციას საერთოდ დავივიწყებთ.

**სავარაუდოდ, ამ პოლიტიკური გაერთიანების რიგებში, გენდერული ბალანსის დაცვის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ვიხილავთ ანა ნაცვლიშვილის, ანა წითლიძის და ანა ბუჩუკურის ტრიოს, რაც დიდი დანაკლისი იქნება „ლელოს“, „ნაციონალური მოძრაობის“ და „საქართველოსთვის“, მაგრამ რა გაეწყობა – სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იდეისათვის მსხვერპლის გაღება ხომ ღვთიური საქმეა!**

**მოგეხსენებათ, ახალი წელი სურვილებთანაა დაკავშირებული და მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობაში შეზღუდული არ ვართ, ამჯერად მხოლოდ ერთი სურვილით შემოვიფარგლები: მშვიდობა და კეთილდღეობა დაბედებოდეს სრულიად საქართველოს მწვანე დრაკონის წელიწადში, რადგან ცნობილი სიმღერისა არ იყოს, ჩემი სამშობლო ჩემი ღმერთია!**

**თეიმურაზ ჟანელიძე**
წყალტუბო-თბილისი

# ვისია საქართველო?

**გახსოვთ ცნობილი სცენა „კავკასიური ცარცის წრიდან“ – ვინაა ბავშვის დედა – ვინაც ბავშვს თავისკენ ექაჩება, ვინც გააჩინა თუ ვინც გაზარდა? დღეს საქართველო ასეთი ბავშვის როლშია რუსეთსა და დასავლეთს შორის – თითოეული თვლის, რომ საქართველო სწორედ მას ეკუთვნის. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭებით, დასავლეთმა საქართველო ცოტათი თავისკენ გადაქაჩა.**



## ქართველთა დუალიზმი რუსეთის მიმართ

**71 წლის ვლადიმირ პუტინი რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაერთო, „არჩევნების“ შედეგიც წინასწარ ცნობილია. ეს ნიშნავს, რომ მომავალი 6 წლის მანძილზე საქართველოს ისევ პუტინის რუსეთთან მოუწევს ურთიერთობა.**

პუტინის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე 14 დეკემბერს, ასევე სხვა პლატფორმებიდან, მკაფიოდ ითქვა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთი დასავლეთთან დათმობებზე არ წავა და გავლენებისთვის ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ რუსეთი საკუთარი იმპერიული კომპლექსის მძევალი აღმოჩნდა, რაც ახსნას უძებნის მის ქცევის მოდელს სამეზობლოში.

თუ რა პოლიტიკას გაატარებენ ერთმანეთის მიმართ რუსეთი და საქართველო 2024 და მომდევნო წლებში, ბევრ ფაქტორზე, მათ შორის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე და ხალხის განწყობაზე იქნება დამოკიდებული.

სწორედ ხალხის განწყობებია ის სფერო, სადაც რეალური სურათი ბოლომდე არ ჩანს.

ზოგადად, ანტირუსული განწყობები ქართველ საზოგადოების უმრავლესობაში, უკვე იმდენად მკაფიო მოცემულობაა, რომ მისი ფესვების და მიზეზ-გარემოებების შეხსენებას აზრიც კი აღარ აქვს. ეს გრძელი და მტკივნეული ისტორიაა.

თუმცა, რუსეთთან დამოკიდებულება ჩვენს სოციუმში ხასიათდება ერთი საინტერესო და უნიკალური ნიშნით. ერთი მხრივ, რუსეთის მიუღებლობა, მეორე მხრივ, მასთან ურთიერთობის დაუძლეველი სურვილი. ამ ორი თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი პარადიგმის თანაარსებობა ჩვენს სოციუმში, ნაწილობრივ დაადასტურა ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებულმა NDI გამოკითხვამაც.

**თავად განსაჯეთ, გამოკითხულთა 80% ემხრობა საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირსა და NATO-ში, მაშინ როდესაც მათი მხოლოდ 7%(!!) ასახელებს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას უმნიშვნელოვანეს ეროვნულ პრიორიტეტებს შორის. ასეთი დრამატული სხვაობა ძალაუნებურად გაფიქრებინებს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობას ევროინტეგრაცია კი უნდა, მაგრამ არც ისე ძლიერ და არც ისე შეგნებულად. NDI არ ეცადა ამის დაზუსტებას შესაბამისი კითხვებით.**

გამოკითხვის თანახმად, ყოველი მეორე რესპონდენტი ამბობს, რომ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრება საუკეთესო იქნება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რომ აშშ და ევროპა საქართველოს უახლოესი პოლიტიკური და ეკონომიკური მოკავშირეები უნდა იყვნენ. ამავე დროს, 20%-25% (!!) საქართველოს უახლოეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოკავშირედ რუსეთს მიიჩნევს, რაც სულ ცოტა დასაფიქრებელი მაჩვენებელია.

იმავე გამოკითხვის მიხედვით, იკლებს მათი რაოდენობა, ვინც თვლის, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა მხოლოდ პრო-დასავლური უნდა იყოს. თან კლება თვალშისაცემია – 47%-დან 37%-მდე(!!). ჯამურად, გამოკითხულთა 46% ფიქრობს, რომ საქართველოს პოლიტიკა უნდა იყოს პროდასავლური, მაგრამ რუსეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებით, პრორუსული, მაგრამ კარგი ურთიერთობით NATO-სთან და ევროკავშირთან და მხოლოდ და მხოლოდ პრორუსული. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა რუსეთს მთავარ საფრთხედ განიხილავს, მათი მხოლოდ 2%(!!) მიიჩნევს საფრთხედ მაგალითად, რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას. უფრო მეტიც, გამოკითხვის თანახმად, „ქართული ოცნების“ ყოველ მესამე მხარდამჭერს და ოპოზიციის ყოველ მეხუთე მხარდამჭერს სურს რუსეთთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა(!!).

უკრაინაში მიმდინარე ომის მიუხედავად, ჯამურად 59% მიიჩნევს რომ საქართველომ უნდა გააღრმავოს ეკონომიკური კავშირები რუსეთთან, და შეინარჩუნოს ისინი არსებულ დონეზე. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2023 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში (65,6%) სადაც დომინანტი რუსეთია, ხუთჯერ (!!) აჭარბებდა ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტს (12%). არადა, საქართველოს 2016 წლიდან(!!) აქვს ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი.

ამ მშრალი ციფრების უკან კი, ბუნებრივია, დგანან საქართველოს მოქალაქეები და მათი ოჯახები, თავიანთი სრულიად კონკრეტული ინტერესებით.

დიდი ალბათობით, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის ასეთი გაორებული სენტიმენტები რუსეთის მიმართ, სათავეს საქართველო-რუსეთის და საქართველო-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებიდან იღებს. ამ ურთიერთობების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ემოციურ-მენტალურ მდგენელებს, ჩვენთან ხშირად ზედაპირულად აფასებენ, რაც ზრდის შეცდომების რისკს, გამომდინარე შედეგებით.

ასეთ პირობებში, ქართველების დუალიზმი რუსეთთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, რუსეთისთვის ტოვებს იმედს და შესაძლებლობის ფანჯარას, რომ შესაბამის მომენტში ვითარება სათავისოდ შემოაბრუნოს. ამას კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბოლო წლებში ჩვენი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილში ანტიევროპული და ანტიამერიკული განწყობების ზრდა. თუ შევაჯერებთ NDI-ს გამოკითხვის კითხვა-პასუხებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენს მოქალაქეთა პრო-დასავლური განწყობები ერთგვარ „კოჰაბიტაციაში“ იმყოფება რუსეთის მიმართ ტრადიციულ პრაგმატულ-მომხმარებლურ დამოკიდებულებებთან, და მოდით, პირდაპირ ვთქვათ – შიშებთან. ეს უკანასკნელი კი განპირობებულია ბოლო ათწლეულის მოვლენებით.

## ანტიამერიკანიზმის საფრთხეები

**მოქალაქეთა დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, ერიდება დასავლეთისადმი საკუთარი რეალური დამოკიდებულების ღიად გამოხატვას, რაც მეტწილად გამოწვეულია ან თავის გადაზღვევის ბანალური მოტივით, ან მკაფიო ღირებულებითი ორიენტირების არარასებობით.**

ანტი-დასავლური და განსაკუთრებით ანტიამერიკული განწყობების კულტივირებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო იმ ახალი ილუზიების და მითების თანდათანობითმა ნგრევამ, რაც ქართველ საზოგადოებას რუსულ-საბჭოური მითების და ილუზიების ალტერნატივად შესთავაზეს. ჩვენი საზოგადოების ცნობიერების მასობრივმა მანიპულირებამ, ამჯერად უკვე დასავლური პარადიგმებით, ძალიან სწრაფად წარმოშვა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში დასავლური სამყაროს აღქმის უტოპიური სურათი.

თუმცა, ამ სამყაროს მკაცრ და დაუნდობელ რეალობებთან შეჯახებამ ჩვენს ჯერ კიდევ დიდწილად კონსერვატიულ-ტრადიციონალისტურ სოციუმში, დასავლეთისადმი ანტაგონიზმის ტალღა გააღვივა, რასაც ყველანაირად ხელს უწყობდა და უწყობს რუსეთი. ამ სოციუმში შემავალი დაქსაქსული პოლიტიკური და სოციალური ჯგუფები ამჟამად ახალი ეროვნული ლიდერის ძიებაში არიან.

რაც უფრო დიდხანს გასტანს ქართული საზოგადოების ყოყმანი სახელმწიფო იდეოლოგიის, მსოფლმხედველური და ფასეულობითი კატეგორიების მიმართ, მით უფრო დიდხანს გაგრძელდება საშუალო სტატისტიკური ქართველის გაორება „რუსულსა“ და „დასავლურს“ შორის.

აქვე გვინდა შევახსენოთ, ჩვენს მკითხველს, რომ რუსული პროპაგანდის მიუხედავად, აშშ-ს დომინირება მსოფლიოში ობიექტური და, დიდი ალბათობით, მუდმივმოქმედი ფაქტორია. თავიანთ გლობალურ დომინირებას ისინი უზრუნველყოფენ სამხედრო ყოფნით 80-ზე მეტ ქვეყანაში, 12 სამხედრო-პოლიტიკური ბლოკით და 1000-ზე მეტი სამხედრო ბაზისა და ობიექტით მსოფლიოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში, მათ შორის საქართველოში (ნუ გაგიკვირდებათ!). აშშ აწარმოებს მსოფლიო ინდუსტრიული მთლიანი შიდა პროდუქტის 25%-ს და ფლობს მსოფლიო ოქროს მარაგის 70%-ზე მეტს. ეს საშუალებას აძლევს აშშ-ს შეინარჩუნოს ამერიკული დოლარის, როგორც მსოფლიო ვალუტის პოზიცია. ჩვენი მოქალაქეების უმეტესობის დანაზოგები კი დოლარებშია.

**რჩება რა თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ გიგანტად, აშშ, ფაქტობრივად, არის თანამედროვე მსოფლიოს არაფორმალური იმპერიაც (ჩინეთთან ერთად) და საგარეო პოლიტიკური ექსპანსიონიზმი მას ახასიათებს ისევე, როგორც იმპერიის სტატუსის დაბრუნებაზე მეოცნებე რუსეთს. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა, ასე თუ ისე, აღიარებს აშშ-ს მსოფლიო ლიდერობას და საქართველოს მხრიდან „სუვერენული დემოკრატიის“ მსგავსი თამაშები, განსაკუთრებით აშშ-სთან, ძალიან დიდ სიფრთხილეს და ფილიგრანულ პოლიტიკურ უნარებს მოითხოვს.**

საქართველოს ინტერესები დღეს იმ დოზით არის ინტეგრირებული ამერიკულში და სტრატეგიული დამოკიდებულება იმდენად დიდია, რომ ყოველგვარი აგრესიული ანტიამერიკანიზმი ჩვენს საზოგადოებაში თუ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, უბრალოდ, განწირულია და სახიფათოც, ყველა პარამეტრით.

საქართველოში აშშ-ს გავლენების დონის გათვალისწინებით, ამერიკელებს არ უნდა გაუჭირდეთ ჩვენს ქვეყანაში ანტი-დასავლური ლოკომოტივის ნეიტრალიზება, ასეთის გაჩენის შემთხვევაში.

**საქართველო და მისი საზოგადოება დღეს პოსტიმპერიულ გავლენისგან გათავისუფლების უკიდურესად მტკივნეულ პერიოდს გადის.**

**წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, „ქართულ ოცნებას“ სურს, რომ ეს რაც შეიძლება ნაკლები სისხლით და ნგრევით მოხდეს, თან ისე, რომ არ დაუშვას ხელისუფლებაში იმ ძალების მობრუნება, რომლებიც მზად არიან გარე ინტერესებს საქართველო ზვარაკად შესწირონ. ამიტომაც, საქართველოს ხელისუფლება მისი მხარდამჭერი საზოგადოება, რომ იტყვიან, დანის წვერზე დადიან, რაც დასავლეთში ბევრს ძალიან არ მოსწონს და არც ერიდებიან ამის ღიად დაფიქსირებას.**

ლამის საკრალურად ქცეული ცნობილი ტრიადა – „ენა, მამული, სარწმუნოება“, რომელიც ქართული „სუვერენული დემოკრატიის“ ერთ-ერთი მთავარი საყრდენი გახდა, სხვა ტრადიციული ღირებულებების აღორძინებასთან ერთად, წინააღმდეგობაში მოვიდა გაცხადებულ პროევროპულ ლიბერალურ კურსთან. ლოზუნგი „ღირსებით ევროპაში“, სწორედ, ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო დისკურსს შორის „ოქროს შუალედის“ პოვნას ემსახურებოდა.

ყველა ერს, ისევე როგორც ყველა ადამიანს, საკუთარი ბიოგრაფია და კულტურული კოდი გააჩნია და სწორედ მისი ზედმიწევნით ცოდნით და თანამედროვე რეალობების გათვალისწინებით არის შესაძლებელი საერთაშორისო არენაზე ცივილიზებული და პასუხისმგებლიანი ქცევის დემონსტრირება. სწორედ, ამიტომ არის საჭირო, ჩვენი ქვეყნის და მისი უახლესი ისტორიის ყველა რთული და ტრაგიკული ეპიზოდების ხელახლა შეფასება და გადააზრება. ამის გარეშე, საქართველოს ვერ ექნება ძლიერი პოზიციები საერთაშორისო არენაზე. ჩვენი დასავლელი პარტნიორების რეცეპტი – ჩამოწერეთ წარსული და იფიქრეთ მომავალზე, ვერანაირად ვერ გამოდგება ჩვენი საზოგადოებისთვის.

**რაც მთავარია, დასავლეთთან ურთიერთობაში ჩვენი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს ერთი მხრივ იმ ინსტრუმენტებისგან, რომლებიც აყალიბებენ მითოლოგემას, რომ დასავლეთს ჩვენი როგორც ერის და კულტურის ნიველირება სურს და მეორე მხრივ, იმ ინსტრუმენტისგან რომლებიც აყალიბებენ განცდას, რომ ამერიკასთან და დასავლეთთან კონფრონტაცია საქართველოს ხახვივით შერჩება.**



**ამერიკული ზეგავლენა საქართველოზე ძალიან დიდია. ასე განსაჯეთ, ის ქვეყნის კონსტიტუციაშია ასახული, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სფეროებზე. ამიტომაც ანტიამერიკანიზმის ექსპლუატაცია უპერსპექტივოა და სახიფათოც.**

**ზაალ ანჯაფარიძე**

# კეთილი და საქმიანი დრაკონი თქვენი წარმატების საწინდარია...



## ვის რა მნიშვნელოვანი ცვლილებები და სიურპრიზები ელის 2024 წელს

## ასტროლოგების პროგნოზი

### ვერძი

**კარიერა** – მართალია, დრაკონი უამრავ გამოწვევას უმზადებს ვერძის ნიშნით დაბადებულებს, მაგრამ სწორედ 2024 წელს მისცემს მასშტაბური ცვლილებების განხორციელების, დაწინაურებისა და „საკუთარი ადგილის“ პოვნის საშუალებას. მთავარია, არ შეუშინდეთ სიახლეს, თამამად მოჰკიდოთ ხელი ახალ პროექტებს და დარწმუნებული იყავით, რომ ყველაფერი გამოგივათ.

**პირადი ცხოვრება** – დაქორწინებულ ვერძებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან 2024 წელი კონფლიქტებისა და უსიამოვნებების გარეშე ჩაივლის. მეტიც, სწორედ ახლა შეძლებთ წვრილმანი უთანხმოების მოგვარებას და ოჯახური იდილიის შექმნას, მარტოხელა ვერძებმა კი, განსაკუთრებით თებერვალსა და ივლისში უნდა გაამახვილონ ყურადღება, რათა ხელიდან არ გაუშვან მოულოდნელი შეხვედრა იმ ადამიანთან, ვინც დიდ ხნით უერთგულებს და ყველაზე საიმედო პარტნიორი გახდება.

### კურო

**კარიერა** – მართალია, 2024 წელი კუროს ნიშნით დაბადებულთათვის ახალი პროექტებით, მრავალრიცხოვანი შეხვედრებითა და საქმიანი მოლაპარაკებებით იქნება დატვირთული, მაგრამ ვერც სირთულეებისგან შეძლებენ თავის დაღწევას, რისი მიზეზიც მათივე სიჯიუტე და პედანტიზმი გახდება. შეაფასეთ მოვლენები და საკუთარი შესაძლებლობები, თამამად შეეჭიდეთ მასშტაბურ პროექტებს და შედეგი ყველა მოლოდინს გადააჭარბებს.

**პირადი ცხოვრება** – ის, ვინც „აქტიურ ძიებაშია“ წლის დასაწყისშივე გაიცნობს საინტერესო ადამიანს, ვისთანაც სიამოვნებით გაატარებს დროს, მაგრამ გაზაფხულზე დაღლილობასთან ერთად გაღიზიანებასაც იგრძნობს, ერთ დროს საინტერესო ადამიანი კი, უინტერესოდ მოეჩვენება და სინანულის გარეშე დაემშვიდობება. პრობლემები ელით დაქორწინებულ კუროებსაც, რომელთაც მეუღლესთან მუდმივი კამათი დაუკარგავს სიმშვიდეს, თუმცა თანდაყოლილი სიბრძნისა და გამოცდილების წყალობით მაინც შეძლებენ სერიოზული კონფლიქტების თავიდან არიდებას.

### ტყუპები

**კარიერა** – 2024 წელს განსაკუთრებულ წარმატებას ხელმძღვანელ პოსტზე მყოფი ტყუპები მიაღწევენ, დანარჩენებს კი, კოლეგებსა და იმავე ხელმძღვანელებთან მოუწევთ კომპრომისების მოძიება. მართალია, ტყუპების ნიშნით დაბადებულები ყველასთან სწრაფად პოულობენ საერთო ენას, მაგრამ მაინც არ ღირს „მთელ სამყაროსთან“ დამეგობრება, რადგან ზოგჯერ მეგობრებმაც იციან დანაპირების მოთხოვნა, რაც ძალიან აღიზიანებთ თავქარიან და ზედაპირულ ტყუპებს, რომელთაც პრიორიტეტები და ადამიანებისადმი დამოკიდებულებაც ისევე ხშირად ეცვლებათ, როგორც გუნება-განწყობა.

**პირადი ცხოვრება** – სერიოზული ცვლილებები ელით ტყუპებს პირად ცხოვრებაშიც, რადგან ბევრს მოუწევს ურთიერთობების დასრულება და პარტნიორთან დამშვიდობება. მართალია, ზოგი სიხარულით შეხვდება სიახლეს, მაგრამ ზოგი პირიქით, დიდხანს ვერ შეძლებს დანაკლისის ანაზღაურებას. გამოიჩინეთ მეტი მოთმინება პარტნიორთან ურთიერთობისას, არ ღირს გაუთავებლად საკუთარ სურვილებზე საუბარი, უმჯობესია მოუსმინოთ და გაითვალისწინოთ მისი უკმაყოფილება, რადგან მხოლოდ ასე შეძლებთ ურთიერთობის შენარჩუნებას. ნაკლებად გაუმართლებთ მარტოხელა ტყუპებს, რადგან ძალიან გაუჭირდებათ შესაფერისი პარტნიორის მოძიება.

იხ. 9 გვ.

## მკითხველი და გაზეთი

# ნაძვის ხის აკრძალვაც და „ამნისტიაც“ სტალინს უკავშირდება!

**მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ნაძვების ქვეყანაა, საზოგადოდ ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია იქ ევროპიდან შევიდა. ის განსაკუთრებით პოპულარული იყო სანკტ-პეტერბურგში მცხოვრებ გერმანელებში, ოღონდ პირველ მსოფლიო ომამდე. ომმა მოსახლეობა ყოველივე გერმანულის წინააღმდეგ განაწყო, მათ შორის, ნაძვის ხის მორთვის ტრადიციის.**

თუმცა, ნაძვის ხის ნამდვილი მტრები ათეისტი ბოლშევიკები აღმოჩნდნენ, რომლებიც რელიგიურ დღესასწაულებს ებრძოდნენ. ბოლშევიკებს ნაძვის ხესთან ორი პრეტენზია ჰქონდათ, ჯერ ერთი, ის შობის რიტუალის ნაწილი იყო და მეორე – ნაძვის ხის მორთვის ფუფუნება და ჩვევა მაშინ მხოლოდ ბურჟუაზიულ კლასს ჰქონდა.

**„როდესაც ბოლშევიკები საქართველოში შემოვიდნენ, ხვდებოდნენ, რომ ძველ, ფესვგადგმულ ტრადიციებს ასე უცებ ვერ ამოძირკვავდნენ და ამიტომ მათი გადასხვაფერება, სათავისოდ შეცვლა დაიწყეს. მაგალითად, იმ წლებში ნათლობის მაგივრად ასე იქცეოდნენ: იკრიბებოდნენ და ბავშვს ერთობლივად არქმევდნენ სახელს“,** – ამბობს საბჭოთა კავშირის მკვლევარი **ირაკლი ხვადაგიანი.** ამგვარი „ნათლობა“ ერთგვარი ინიციაცია იყო ბავშვის კომუნისტურ წრეში მისაღებად.

ირაკლი ხვადაგიანი ამბობს, რომ სწორედ ამ დროს გაჩნდა ხელოვნური და უცნაური სახელები, რომლებსაც კომუნიზმთან დაკავშირებული საგნების თუ ადამიანების სახელებისგან აკოწიწებდნენ, მაგალითად, ლენსტანბერი, ანუ ლენინის, სტალინის და ბერიას სახელების შემოკლებული ვერსია.

იგივე ბედი ეწია შობასაც და იმ ატრიბუტებსაც, რომელიც მაცხოვრის დაბადებასთან იყო დაკავშირებული – 1927 წელს ნაძვის ხე აიკრძალა!

ნაძვის ხეს ყველანაირად „დევნიდნენ“, უპირველესად კი, იდეოლოგიურად. აი, როგორი ლექსები იწერებოდა მაშინ:

**„ნაძვის ხით ვინც იზეიმებს,**
**მღვდლების მეგობარია.**
**მე და შენ ვართ მღვდლების მტრები,**
**შობა არ გვიხარია“.**

**ალექსანდრ ვედენსკი**

ნაძვის ხე მთავრობამ მთელი ათი წლით აითვალწუნა, სანამ გაზეთ „პრავდაში“ მაშინდელმა საბჭოთა ჩინოვნიკმა პაველ პოსტიშევმა წერილი არ გამოაქვეყნა.

**„რევოლუციამდე ბურჟუაზია და ბურჟუაზიის ჩინოვნიკები საახალწლოდ თავიათი ბავშვებისთვის ყოველთვის რთავდნენ ნაძვის ხეს. მშრომელების ბავშვები ხარბად შესცქეროდნენ ფანჯრებიდან სხვადასხვა ფერად აბრჭყვიალებულ ნაძვს და მდიდრების ბავშვებს, რომლებიც მის გარშემო მხიარულობდნენ. ჩვენი სკოლები, საბავშვო ბაღები, ბაგები, ბავშვთა კლუბები, პიონერთა სახლები საბჭოთა ქვეყნის მშრომელების ბავშვებს ამ სიამოვნებას რატომ აკლებენ?“...** პოსტიშევი წერდა, ამიერიდან ნაძვის ხე ყველას უნდა ჰქონდეს, ყველგან უნდა დადგანო.





**„არ ღირს ის იმ ადამიანად მივიჩნიოთ, რომელსაც ნაძვის ხის დაბრუნებას უნდა ვუმადლოდეთ,** – ამბობს რადიო თავისუფლების მოსკოვის ბიუროსთან საუბრისას **ელენა დუშეჩკინა,** ავტორი მონოგრაფიისა „რუსული ნაძვის ხე: ისტორია, მორფოლოგია, ლიტერატურა“, – **ხრუშჩოვი თავის მემუარებში ჰყვება, როგორ მგზავრობდა სტალინთან და პოსტიშევთან ერთად მანქანით და პოსტიშევმა თქვა: „ნაძვის ხე ხომ არ დავაბრუნოთ? ხომ არ დავწეროთ ამის შესახებ?“ რაზეც სტალინმა უპასუხა: „დაწერე“.**

პესტიშევის სტატია „პრავდაში“ 1936 წლის 28 დეკემბერს დაიბეჭდა, მანამდე ნოემბერში, სტახანოველების (სტახანოვური მოძრაობის წევრი, მოწინავე მუშაკი) შეკრებაზე სტალინმა განაცხადა „ცხოვრება უფრო კარგი გახდა, უფრო მხიარული, ამხანაგებო!“ ნაძვის ხის „ამნისტიაც“ ამ „კარგი ცხოვრების“ გამოძახილი იყო.

ნაძვის ხე დაბრუნდა, მაგრამ უკვე არა შობის, არამედ ახალი წლის აღსანიშნავ ატრიბუტად. რა თქმა უნდა, მას ისე არ რთავდნენ, როგორც ევროპაში. საბჭოთა ნაძვის ქვეშ არ ეწყო ყრმა იესოს, მარიამისა და მოგვების ფიგურები, არც ბაგაში მყოფი ხარების. იქ ახლა „დედ მოროზი“ და „სნეგუროჩკა“ სახლობდნენ. ნაძვის წვერზე დამაგრებული ვარსკვლავი კი, რომელიც ბეთლემში მაცხოვრის შობისას გამოჩენილ ვარსკვლავს განასახიერებდა – საბჭოთა ხუთქიმიან ვარსკვლავად გადაიქცა.

**„როდესაც ნაძვის ხის დადგმა დაუშვეს, ყველა დაიბნა, არ იცოდნენ მასზე რა ჩამოეკიდათ. შეიძლებოდა თოვლის ბაბუის დადგმა ნაძვთან? ადრე ისიც აკრძალული იყო. ან გაურკვეველი წარმოშობის „სნეგუროჩკის“ დადგმა თუ შეიძლებოდა? მერე თანდათან ყველაფერი დალაგდა. უწყინარი სათამაშოების, ბურთების, ვაშლების, კონფეტების გვერდით იდეოლოგიური სათამაშოებიც გამოჩნდა – ორთქლმავლები, სტრატოსფერული ბუშტები, მერე თანამგზავრებიც კი“,** – ამბობს **ელენა დუშეჩკინა.**

ნაძვის ხეზე კიდებდნენ სათამაშოებს წარწერით „სსრკ“, კოსმონავტებს, რაკეტებს. პარტიული ლიდერების ფოტოებითაც კი დაამზადეს სათამაშოები.

**„ბალალაიკა, „დედ მოროზი“, „სნეგუროჩკა“, ყველაფერი ეს სხვადასხვა ხალხების გამოცდილებიდან აიღეს და ისე წარმოაჩინეს, თითქოს თავიდანვე ასეთი დანიშნულება ჰქონდათ. პირველ წლებში რეჟიმი ასე მოქმედებდა, თუ რაღაცის განეიტრალება უნდოდა, მის ფორმას ინარჩუნებდა და სხვა შინაარსით ანაცვლებდა“,** – ამბობს **ირაკლი ხვადაგიანი.**

დედ მოროზი პირველად 1937 წელს გამოჩნდა. რუსულ ტრადიციულ ტანსაცმელში ჩაცმული თეთრწვერა ბაბუა, საჩუქრებით სავსე ტომრით. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის მთელი არსებობის მანძილზე ბავშვებს ახალ წელს სწორედ დედ მოროზი ულოცავდა და არა სანტა კლაუსი, რომლის პროტოტიპი წმინდა ნიკოლოზია.

**„რატომ მაინცდამაინც 1937 წელს? იმიტომ, რომ ეს წელი საბჭოთა კავშირში პოლიტიკური რეპრესიების წელია, მათ შორის ეკლესიასაც ებრძვიან. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებისთვის აუცილებელი იყო, ეკლესიის გავლენა, საეკლესიო ტრადიციები, შობის აღნიშვნა მინიმუმამდე დაეყვანა... ძირითადი იდეა ის იყო, რომ ხსოვნიდან ამოეშალათ წმინდა ნიკოლოზი, რომელიც საშობაო ტრადიციებს უკავშირდებოდა“,** – ამბობს რადიო თავისუფლების უკრაინულ ბიუროსთან საუბარში **სერგეი რიაბენკო,** უკრაინის ნაციონალური მეხსიერების ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი.

1937 წლის შემდეგ ნაძვის ხე და დედ მოროზი უკვე ყველა პროპაგანდისტულ ინსტრუმენტზე ჩანდა: **წიგნებში, ღია ბარათებზე, პლაკატებზე, მულტფილმებში... საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ რესპუბლიკებში იგი მალევე ჩაანაცვლა სანტა კლაუსმა.**

**თეა თოფურია,**
რადიო თავისუფლება

## სილამაზე ცქერით როდი გაცვდება...

**მოდის ექსპერტთა მტკიცებით, 2024 წელი განსაკუთრებით მრავალფეროვანი და აბსოლუტურად განსხვავებული იქნება, რადგან დიზაინერებმა არ დაიზარეს და სრულიად ახალი, მეტად თამამი ტენდენციები შესთავაზეს მოდურად ჩაცმის მოყვარულებს.**

# 2024 წლის მოდის მთავარი სიურპრიზები...



### ტყავი

**მართალია,** ტყავის ქურთუკი მანამდეც მოდის მიმდევარი ყველა ქალის გარდეროზში იყო, მაგრამ ახალ სეზონზე ნატურალურთან ერთად ხელოვნური ტყავის ნაწარმიც განსაკუთრებულ აქტუალურობას შეიძენს, რადგან დიზაინერების აზრით, სწორედ ტყავის პალტოს, შარვლისა და ბლეიზერის დენიმთან ან სხვა რბილ ქსოვილთან კომბინაციით შეიძლება უნივერსალური სტილის შექმნა.

### წითელი და კრემისფერი

**ფერის** ამერიკული ინსტიტუტის Pantone-ს ინიციატივამ, რომელმაც 2024 წლის მთავარ ფერად წითელი დაასახელა, პირველ რიგში დიზაინერები გაახარა, რადგან მსოფლიოს პრესტიჟულ პოდიუმებზე წარდგენილ კოლექციებში სწორედ წითელი ფერი ჭარბობდა. როგორც ჩანს, „ვარდისფერმა ციებ-ცხელებამ" გადაიარა, მისი ადგილი კი, „წითელმა ვნებამ" დაიკავა, რადგან ახალ სეზონზე სწორედ წითლის სხვადასხვა შეფერილობა გახდება ნებისმიერი სტილისა და მოდელის აუცილებელი ატრიბუტი, მათ კი, ვისაც, წითელი ზედმეტად თვალს ჭრის, თუმცა არც მოდას უნდა ჩამორჩეს, შედარებით მშვიდი ტონი შეუძლია შეარჩიოს და მოკრძალებულად გამოიყენოს აქსესუარებში.

კონკურენციას წითელ ფერს მხოლოდ კრემისფერი გაუწევს თავისი მრავალფეროვანი ტონებით – ღია კაკაოსფრით დაწყებული მუქი კარამელით დასრულებული. განსაკუთრებით საინტერესო კრემისფრის სხვადასხვა კომბინაცია ზამთრის სეზონზე იქნება, რაც ელეგანტურობასა და მეტ მყუდროებას შესძენს ნებისმიერ სამოსს.

### ბაჰრამა, მაქმანი, ბუმბული

**საკუთარი ადგილი** დაიკავა 2024 წლის კოლექციებში ბუმბულმა, მაქმანმა და ბაჰრამამ, რადგან სწორედ მსგავსი დეკორატიული ელემენტები შემატებენ სიმსუბუქესა და გრაციას მელანქოლიურ და რომანტიკულად განწყობილ ქალბატონებს, რომლებიც მანამდეც ღრუბლებში დაფრინავდნენ.

### სვიტერი

**ნებისმიერი ქალის** გარდეროზის აუცილებელი ატრიბუტი გახდება სვიტერიც, რომელიც სტილისა და დიზაინის მრავალფეროვნების გათვალისწინებით, შემოქმედებითი ძიებისა და თვითგამოხატვის ბრწყინვალე საშუალებად იქცა დიზაინერებისთვის. სავარაუდოდ, 2024 წელს განსაკუთრებულ პოპულარობას ე.წ. პოლო-სვიტერები მოიპოვებენ საყელოზე ელვაშესაკრავით. მართალია, მსგავსმა სვიტერმა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაიპყრო მსოფლიო პოდიუმები, მაგრამ 21-ე საუკუნეში არა სპორტული სამოსის, არამედ წამყვანი მოდელის სტატუსით დაბრუნდება მოდის არენაზე. მომავალ წელს საბაზოდ კლასიკური მუქი ფერები ჩაითვლება, მათ კი, ვისაც კლასიკის გახალისება უნდა, თამამად შეუძლია შეუხამოს მუქი ფერის სვიტერი უკვე პოპულარულ წითელს ან პასტელის ფერის სამოსს.

### რბილი ქსოვილი და ბეწვი

**შეუძლებელია** ზამთრის წარმოდგენა ქურქის გარეშე, რომელიც 2024 წელს ფაქტურის მრავალფეროვნებით გააკვირვებს მოდის მოყვარულებს, რადგან ერთნაირად მოდური იქნება როგორც ნატურალური, ისე სინთეტიკური და ეკოლოგიურად სუფთა ბეწვის ქურქები, თუმცა, მომავალ წელს ქალბატონები არა მხოლოდ ტრადიციული ქურქების, რბილი და ფუმფულა პალტოების, არამედ ბეწვით გაწყობილი ბლეიზერების და სვიტერების მოხდენასაც შეძლებენ.

### აქცენტი მხრებსა და წელზე

**როგორც ჩანს** „ყველაფერი ახალი, მართლაც კარგად დავიწყებული ძველია", რადგან 1980-იან წლებში პოპულარული სტრუქტურული მხრები, მომავალ წელსაც აქტუალური იქნება, მით უფრო, რომ მასიური მხრები პალტოებსა და ქურთუკებთან ერთად, კაბებს, სვიტერებსა და პიჯაკებსაც დაამშვენებენ.

გასული სეზონების უფორმო სილუეტებისა და ე.წ. „ოვერსაიზის" სტილისგან განსხვავებით, მომავალი წელი ბევრად ქალური და ელეგანტური იქნება, რასაც პირველ რიგში ტანზე მომდგარი და წელში გამოყვანილი სამოსი გაუსვამს ხაზს, თუმცა არაა საჭირო გარდეროზის ერთიანად განახლება და ძველ სამოსზე უარის თქმა, რადგან ორიგინალური ქამრის მორგებითაც შეიძლება უფორმო სამოსისთვის ელეგანტური ფორმის მიცემა.

### მეტალის ელვარება

**ე.წ. „მეტალიკი"** და მეტალიზირებული ქსოვილი მთელი წლის განმავლობაში შეინარჩუნებს პოპულარობას, ამიტომ ქალბატონებს თამამად შეუძლიათ შეავსონ გარდეროზი ვერცხლისფერი, ოქროსფერი მოდელებით და ყველა სეზონზე ერთნაირად იბრწყინონ, მით უფრო, რომ საღამოს კაბების შემდეგ „მეტალიკმა" ყოველდღიური სამოსი – ქურთუკები და ჟილეტები, შარვლები და მაისურებიც დაიპყრო. მას კი, ვინც შედარებით თავშეკავებულ სტილს ანიჭებს უპირატესობას და ზედმეტად ბრჭყვიალს ერიდება, აქსესუარებით შეუძლია საკუთარ სტილში მეტალის ხაზგასმა.

### „მრავალფენიანი" კომბინაცია

**მართალია**, ე.წ. მრავალფენიანი სტილი შემოდგომა-ზამთრის ტრენდად ითვლება, მაგრამ 2024 წელს სამოსის რამდენიმე დეტალის კომბინაცია გაზაფხული-ზაფხულის სეზონზეც შეინარჩუნებს აქტუალურობას, თუმცა არ ღირს ზედმეტად თავის გამოდება და ყველა ფერის ერთდროულად მორგება, რადგან ამგვარ სტილს ერთი ფერის სხვადასხვა ტონის ან ერთი ფაქტურის რამდენიმე მოდელის შეხამება უფრო უხდება.

### დენიმი

**რა თქმა უნდა,** თანამედროვე ქალის ყოველდღიური ცხოვრება წარმოუდგენელია კომფორტული დენიმის გარეშე, თუმცა მომავალი წლისთვის დიზაინერებმა მეტი მრავალფეროვნება შესძინეს ჯინსის კოლექციებს და ტრადიციულ შარვლებსა და ქურთუკებთან ერთად ქალბატონებს ამავე ფაქტურის მინი და მაქსი კაბების, პერანგებისა და კომბინეზონების, ჩანთების, კეპებისა და ჩექმების მორგება შესთავაზეს.



## ვის რა მნიშვნელოვანი ცვლილებები და სიურპრიზები ელის 2024 წელს

### კირჩხიბი

**კარიერა** – მომავალ წელს კირჩხიბის ნიშნით დაბადებულები ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან ცვლილებებით საქმიან ცხოვრებაში, რადგან ვერც დაწინაურებას შეძლებენ, ვერც თავბრუდამხვევი კარიერის გაკეთებას, თუმცა არც მარცხი და სამსახურიდან დათხოვნა დაემუქრებათ. დრაკონის წელი კირჩხიბისთვის უფრო ფუნდამენტის შენების წელი იქნება.

**პირადი ცხოვრება** – დაქორწინებულ და დაწყვილებულ კირჩხიბებს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებთ მეუღლეების მიმართ, რადგან სტაბილური საქმიანი ცხოვრებისგან განსხვავებით, ბევრად შფოთიანი და პრობლემური იქნება პირადი ცხოვრება, მეტიც, არაა გამორიცხული ხანგრძლივი ქორწინებაც დაშორებით დასრულდეს.

### ლომი

**კარიერა** – ლომისთვის 2024 წელი განვითარებისა და კეთილდღეობის მომტანი იქნება. მართალია, ამ ნიშნით დაბადებულებს დიდხანს მოუწიათ ლოდინი, მაგრამ მომავალ წელს ერთიანად აუნაზღაურდებათ მოთმინება. დევიზით „ან ახლა ან არასდროს" ლომი ნებისმიერი სირთულის საქმეს შეეჭიდება და ყველა წამოწყებაში წარმატებული იქნება.

**პირადი ცხოვრება** – დაქორწინებულ ან დაწყვილებულ ლომებს მეტი მოკრძალების გამოჩენა და დროებით ამბიციებზე უარის თქმა მოუწევთ. ნაკლები იფიქრეთ საკუთარ თავზე და მეტად იზრუნეთ საყვარელ ადამიანზე, გაანებივრეთ ქათინაურებით და სასიამოვნო სიურპრიზებით, რადგან მხოლოდ ასე შეძლებთ პარტნიორის შენარჩუნებას, რომელსაც დიდი ხანია სხვისკენ უჭირავს თვალი. არ დატოვებს უყურადღებოდ დრაკონი არც მარტოხელა ლომებს, რომელთაც რომანტიკულ თავგადასავლებს და სამსახურებრივ რომანებს შესთავაზებს.

### ქალწული

**კარიერა** – განსაკუთრებით პერსპექტიული ქალწულის ნიშნით დაბადებულთათვის წლის პირველი ნახევარი იქნება, როცა მათ პუნქტუალურობას, მონდომებას და პასუხისმგებლობას კოლეგებთან ერთად ხელმძღვანელებიც დააფასებენ, თუმცა ბევრად რთული აღმოჩნდა წლის ბოლო, როცა საქმიანი პარტნიორები ძველ შეთანხმებებს გააუქმებენ და ახალ, თქვენთვის ნაკლებად მისაღებ პირობებს შემოგთავაზებენ. არ ღირს ემოციებს აყოლა და გადაწყვეტილების ცხელ გულზე მიღება, რადგან პარტნიორების უარით გასტუმრებას ყოველთვის მოასწრებთ.

**პირადი ცხოვრება** – 2024 წელს ყველაზე მეტად სწორედ ქალწულებს გაუმართლებთ, რადგან არა მხოლოდ წყვილები მოიპოვებენ სიმშვიდესა და ჰარმონიას, არამედ მარტოხელებიც შეძლებენ სერიოზული ურთიერთობის გაბმას.

### სასწორი

**კარიერა** – 2024 წელს სასწორის ნიშნით დაბადებულებს მხოლოდ ნოვატორული აზროვნება დაეხმარება წინსვლასა და კარიერის განვითარებაში. მართალია, ნაკლებად მოგინდებათ მსხვერპლის გაღების და ზედმეტად თავის შეწუხება, მაგრამ დაწინაურების სურვილი შეუძლებელს შეგაძლებინებთ. ნუ გაღიზიანდებით, თუ კოლეგები თქვენს ჭკუის სწავლებას შეეცდებიან, პირიქით მოისმინეთ და გაითვალისწინეთ გამოცდილი ადამიანების რჩევები, რადგან მათ მხოლოდ სიკეთე უნდათ თქვენთვის.

**პირადი ცხოვრება** – ბევრად გაუმარტივდებათ სასწორებს პირადი ცხოვრების მოწესრიგება, რადგან ისედაც ყველაფერი წესრიგში აქვთ. დაქორწინებულები ჩვეულ რიტმში გააგრძელებენ ცხოვრებას, რადგან მათ მყუდროებას ვერაფერი დაარღვევს, მარტოხელებს კი, ძველი ურთიერთობის აღდგენის შანსი ექნებათ.

### მორიელი

**კარიერა** – მომავალ წელს მორიელის ნიშნით დაბადებულებს პირველ რიგში საქმიანი ცხოვრების გადახედვა, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა მოუწევთ. არაა გამორიცხული რადიკალურად შეცვალოთ საქმიანობის სფერო და იქ მოსინჯოთ შესაძლებლობები, სადაც მანამდე არაფერი გესაქმებოდათ. არ შეუშინდეთ სირთულეებს.

**პირადი ცხოვრება** – ნამდვილი სასწაული მოხდება მომავალ წელს, რადგან მორიელი გულწრფელად აღიარებს ყველა ნაკლსა და შეცდომას, თუმცა სიამაყე არ მისცემს მათი გამოსწორების უფლებას.

იხ. 11 გვ.

# რა უნდა გავაკეთოთ დრაკონის გულის მოსაგებად, რომელი ხილი უნდა გვქონდეს სუფრაზე და რატომ – 8 მანდარინი

სულ მალე წყლის ლურჯი კურდღელი ესტაფეტას ხის მწვანე დრაკონს გადასცემს. საინტერესოა, რას მოგვიტანს 2024 წელი, რა უნდა გავაკეთოთ დრაკონის გულის მოსაგებად და მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

აღმოსავლური კალენდრით ახალი წელი 2024 წლის 10 თებერვალს დაიწყება და 2025 წლის 28 იანვრამდე გაგრძელდება, მისი მფარველი კი, ჩინური ზოდიაქოს ყველაზე მისტიკური ნიშანი — დრაკონი იქნება, რომელიც ერთის მხრივ, საიმპერატორო ძალაუფლებას, მეორეს მხრივ, სიმტკიცეს, სიძლიერეს, სიმდიდრეს სიმბოლიზირებს და მამაკაცურ ენერგიას — იანს, სითამამესა და გამბედაობას, შეუპოვრობასა და ბრძოლის უნარს განასახიერებს.

აღსანიშნავია, რომ დრაკონის სტიქია ხე — ზრდასა და განვითარებასთან, მწვანე ფერი — პოზიტივთან, ბუნების ყვავილობასთან და ახალ ცხოვრებასთან ასოცირდება, 2024-ის ჯამი კი 8-ს უდრის, რომელიც არა მხოლოდ მარადიულობის, არამედ, პრაქტიკულობის და მატერიალური კეთილდღეობის სიმბოლოდაც ითვლება.

მომავალ წელს ყველა საკუთარ თავზე გამოცდის დრაკონის გავლენას, რადგან მისი ძალაუფლება ყველა სფეროზე გავრცელდება. ნებისმიერი შეძლებს გახდეს იმ მასშტაბური ცვლილებების მონაწილე, რომლებიც რადიკალურად შეცვლიან სამყაროს. ამასთანავე, ყველას მიეცემა პოპულარობისა და კეთილდღეობის მოპოვების შანსი, რადგან ხელგაშლილი დრაკონი ყველას უხვად გაუნაწილებს სიხარულსა და ბედნიერებას.



### მომავალი წლის მოკლე პროგნოზი

**მართალია, წლის დასაწყისში ადამიანები მეტწილად პოზიტიურად და ოპტიმისტურად განეწყობიან, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ წლის მმართველი ძალას მოიკრებს და ბოლომდე გააცნობიერებს საკუთარ ძალაუფლებას. მარტი – ერთგვარი გარდამავალი პერიოდი, პოზიტიური ცვლილებების და უკეთესი მომავლის იმედის თვე იქნება, როცა ადამიანები „ვარდისფერ სათვალეს“ მოირგებენ და ყველა წყენას, უსიამოვნებას აპატიებენ ერთმანეთს, შეყვარებულებს რომანტიკა გაულამაზებთ ურთიერთობას, ბიზნესმენები კი, მსხვილბიუჯეტიანი პროექტების განხორციელებას შეუდგებიან.**

ბევრად რთული იქნება ოქტომბრისა და ნოემბრის თვეები, როცა ადამიანების უმეტესობა ენთუზიაზმს დაკარგავს, მუდმივი ცვლილებები და ცხოვრების სწრაფი ტემპი კი, მათი ფსიქიკის სიმტკიცეს გამოცდის. შრომატევადი სამუშაო, დაძაბული ურთიერთობა პარტნიორებთან და გადაუჭრელი ფინანსური პრობლემები – სწორედ ამგვარი სირთულეების დაძლევა მოუწევთ ადამიანებს, რასაც ბევრი ვერ შეძლებს, უბრალოდ „დაიფშვნება“ და ხელის ჩაქნევით ყველაფრისგან გაქცევას გადაწყვეტს, თუმცა, არ ღირს სასოწარკვეთა, უმჯობესია დროებით უკან დაიხიოთ, მცირე პაუზით ისარგებლოთ და განსაკუთრებულ მწვერვალებს თუ ვერ დაიპყრობთ, ის მაინც შეინარჩუნოთ, რაც მანამდე მოიპოვეთ.

### ძველი წლის გაცილება

**მართალია, ბევრი მხოლოდ 31 დეკემბერს აქტიურდება, მაგრამ სინამდვილეში ახალი წლისთვის მზადება, ბევრად ადრე, ძველი წლის გაცილებით და რამდენიმე სავალდებულო რიტუალის შესრულებით იწყება, რათა ახალ ცხოვრებაში არ გაგვყვეს ძველი წყენა, დარდი და უიღბლობა.**

პირველ რიგში, აუცილებელია დაზიანებული ნივთების გადაყრა, სახლის დალაგება და გულდასმით გამოგვა, რათა გაწმინდოთ ძველი ნეგატიური ენერგიისგან და გაათავისუფლოთ ახალი პოზიტიური ენერგიისთვის. ამასთანავე, გაითვალისწინეთ, რომ ცოცხი აუცილებლად კარიდან კარამდე უნდა მოუსვათ, რათა ზღურბლიდან გაიტანოთ ნეგატივი და უკან აღარ დააბრუნოთ. თუმცა, არ ღირს სახლის დალაგება 31 დეკემბერს, ისე, როგორც არ შეიძლება სარეცხის დარეცხვა, კერვა ან თუნდაც ღილის მიკერება. უმჯობესია „სამეურნეო სამუშაოები“ რამდენიმე დღით ადრე მოათავოთ.

ბევრს შესაძლოა ბანალურად მოეჩვენოს, მაგრამ მართლაც მნიშვნელოვანია ძველი წყენისგან გათავისუფლება და ბრაზის წარსულში დატოვება, რადგან სახლის გაწმენდასთან ერთად, მისი პატრონიც უნდა „გასუფთავდეს“. დაივიწყეთ უსიამოვნებები, აპატიეთ შეცდომები ახლობლებს და მათაც ბოდიში მოუხადეთ, ვისაც თვლით, რომ თვითონ აქვს ბოდიში მოსახდელი. ამასთანავე, კარგი იქნება თუ ყველა ვალს ახალ წლამდე გაისტუმრებთ და ბევრად უკეთესი, თუ საკუთარ ვალებსაც დაიბრუნებთ.

### დრაკონის მასპინძლობა

**მედიდურ დრაკონს,** რომელსაც ყველაფერი ორიგინალური და ძვირადღირებული მოსწონს, დახვედრაც შესაფერისი უნდა მოუწყოთ, რადგან მართალია, უკმაყოფილებას არ გამოხატავს, მაგრამ არც დახმარებით შეიწუხებს თავს, ასე რომ, ისევ თქვენს ინტერესებშია გრანდიოზული დღესასწაულის მოწყობა.

**დეკორი** – სადღესასწაულო დეკორში წითელი ფერი დომინირებს, რომელსაც ჩინელები ბედნიერების, კეთილდღეობის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ამასთანავე, კარგი იქნება თუ ინტერიერს ფერადი გირლანდით და დრაკონის ფიგურებით, ორქიდეით და მანდარინის ხით მორთავთ, რომელიც წარმატების მოზიდვაში დაგეხმარებათ. უმჯობესია, უარი თქვათ ხელოვნურ ნაძვის ხეზე, ტრადიციული ფიფქები და ბაფთები კი, დრაკონის ფიგურებით ჩაანაცვლოთ. თუმცა არ ღირს ზედმეტად თავის გამოდება, ავეჯის გადაადგილება და ერთიანად ყველაფრის გადაწითლება, რადგან დრაკონს ზომიერება და სტაბილურობა უყვარს ზედმეტი ფაციფუცის გარეშე.

**ფოიერვერკი და წითელი ფარნები** – ფოიერვერკი – ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული რიტუალია და ჩვეულებრივ, ბოროტი ძალების განდევნას ემსახურება, თუმცა წელს განსაკუთრებით აქტუალური იქნება ცეცხლოვანი დრაკონის შესახვედრად, ისე, როგორც წითელი ფარნები, რომლებიც 12 საათის შემდეგ სურვილის ჩაფიქრებით უნდა გაუშვათ, რადგან ჩინური ტრადიციით სწორედ ცეცხლი და კაშკაშა წითელი ფერი განდევნის ბოროტ ძალებს, თუმცა არც ენერგიული მუსიკა უნდა დაივიწყოთ. მეტიც, რაც უფრო ხმამაღალი იქნება მუსიკა, მით უფრო საიმედოდ დააფრთხობთ ავ სულებს და გაუთავისუფლებთ დრაკონს გზას თქვენი სახლისკენ.

**კერძები** – სადღესასწაულო ვახშამი აუცილებლად უხვი და მრავალფეროვანი უნდა იყოს. შეარჩიეთ თეთრი სუფრა ოქროსფერი ორნამენტით, რომელსაც პირველ რიგში რვა მანდარინით დაამშვენებთ, რადგან სწორედ „რვიანია“ წლის მთავარი რიცხვი. მართალია, მტაცებელი დრაკონი ნებისმიერ „მონადირებულ“ ცხოველს გემრიელად შეექცევა, მაგრამ განსაკუთრებით თევზი და ზღვის პროდუქტი ხიბლავს. ამასთანავე, კარგი იქნება თუ სადღესასწაულო ვახშამს მთლიანი შემწვარი გოჭით შეავსებთ, რომელსაც მხოლოდ ახალი წლის დადგომის შემდეგ დაჭრით.

შეეცადეთ კერძები არა მოძველებული, არამედ ახალი, ორიგინალური რეცეპტით და რაც მთავარია, პოზიტიური განწყობით მოამზადოთ, რომელსაც ახალი წლის დღეებშიც შეინარჩუნებთ. გაითვალისწინეთ, რომ ცეცხლოვან დრაკონს ძალიან უყვარს ცხარე კერძები, ამიტომ გაანებივრეთ წიწაკით და სუნელებით შენელებული პიკანტური სოუსებით, სადღესასწაულო მენიუს კულმინაციად კი, ცომითა და ხორცით მომზადებული კერძი აქციეთ, რომელშიც მონეტას დამალავთ, რადგან ისევ ჩინური ტრადიციის გათვალისწინებით, სწორედ მას უწყალობებს დრაკონი მთელი წლის მანძილზე, ვინც მონეტას იპოვის. გაითვალისწინეთ, რომ ხილი სადღესასწაულო მენიუში არა უბრალოდ დესერტი, არამედ „ნაყოფიერების კოდია“, ამიტომ მოიმარაგეთ ფორთოხალი, რომელიც ბარაქის, თურინჯი (პომელო) – ოჯახის სიმტკიცის და მსხალი, რომელიც ბედნიერების სიმბოლოდ ითვლება.

**სადღესასწაულო გარდერობი** – სადღესასწაულო წვეულებას ყველაზე მეტად წითელი, თეთრი და ვერცხლისფერი, ატლასის ან სხვა მბრწყინავი ქსოვილის სამოსი მოუხდება აღმოსავლური ელემენტებით და ამავე ფერის აქსესუარებით. მართალია, წლის მფარველი მწვანე ფერისაა, მაგრამ მაინც არ ღირს დღესასწაულზე მწვანე და ლურჯი ფერების მორგება. ამასთანავე გაითვალისწინეთ, რომ სამკაული აუცილებლად უხვად უნდა იყოს ინკრუსტირებული ძვირფასი ქვებით.

**ძვირფასი ქვები – წლის თილისმა** – ძვირფას ქვებსა და მინერალებს განსაკუთრებული ენერგია აქვთ, რომელთა სწორად გამოყენების შემთხვევაში არა მხოლოდ იღბალსა და წარმატებას მოიზიდავთ, არამედ ბოროტებისგანაც დაიცავთ თავს. სწორედ ასეთი „ჯადოსნური ქვაა“ **მალაქიტი**, რომელიც ბუნების ენერგიას განასახიერებს და საკუთარ თავზე ნეგატიური ენერგიის აღებით დაგიცავთ ავი თვალისგან. დრაკონის წელს მალაქიტი არა მხოლოდ შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაში, არამედ სიყვარულის მოძიებაშიც დაგეხმარებათ, რადგან სწორედ ის მფარველობს სიყვარულსა და ერთგულებას. **საფირონი**, რომელიც სიკეთის სიმბოლოდ ითვლება, შურისგან, აგრესიისგან დაგიცავთ და არა მხოლოდ სიმშვიდეს და მოთმინებას შეგმატებთ, არამედ საკუთარი ნეგატივის დაძლევასა და საუკეთესო თვისებების წინა პლანზე წამოწევაშიც დაგეხმარებათ, **ამეთვისტო** კი, რომელიც ენერგეტიკულად ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ქვად ითვლება, ინტუიციას გაგივითარებთ, გონებას „გაგისუფთავებთ“ და ზედმეტი განცდებისგან გაგათავისუფლებთ.

### რიტუალები

**საახალწლო რიტუალები**, რომლებიც ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა, დღეს დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია და პირველ რიგში მათთვისაა საინტერესო, ვისაც არა უბრალოდ ახალი წლის სწორად შეხვედრა, არამედ დიდი ხნის ოცნების ასრულება და კეთილდღეობის მთელი წლით დაბევება უნდა.

**ფინანსური რიტუალები** – პირველ რიგში, ჩაუდეთ ოჯახის ყველა წევრს საფულეში მსხვილი კუპიურა, რომლის შენახვა მართალია, მთელი 21 დღე მოგიწევთ, მაგრამ მაინც არ ღირს დაწვრილმანება, რადგან რასაც დრაკონისთვის გაიმეტებთ, იმასვე დაიბრუნებთ. ბარაქის მომტანი იქნება კუპიურების სადღესასწაულო სუფრაზე, ყველა თეფშის ქვეშ დადება და წითელ სასაჩუქრე წინდაში ჩადება, რამაც წესით მთელი წელი სტაბილური შემოსავლით უნდა უზრუნველგყოთ.

ახალ ნაძვის ხეს თუ ვერ შეიძენთ, ეცადეთ ტოტები მაინც მოიმარაგოთ, რომელთაც ოქროსფერი და ვერცხლისფერი სათამაშოებით, კანფეტებით, მსხვილი კუპიურებით და ვერცხლის ქაღალდში (იგივე ფოლგაში) გახვეული მონეტებით დაამშვენებთ.

**სასიყვარულო რიტუალები** – ოჯახურ იდილიას და კეთილდღეობას ახალი წლის ღამეს დანთებული შვიდი მწვანე სანთელი მოგიტანთ, მან, ვისაც მომავალ წელს სიყვარულის პოვნა უნდა, აუცილებლად წითელი გულის ფორმის სათამაშოებით უნდა მორთოს ნაძვის ხე, გოგონამ კი, რომელიც გათხოვებას ნატრობს, შვიდ ბავშვს უნდა გაუკეთოს საჩუქარი, თუმცა რიტუალი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამართლებს, თუ ბავშვები არა ახლობლები, არამედ უცნობები იქნებიან.

**რიტუალები წარმატების მოსაზიდად** – ქაღალდზე სურვილების ჩამოწერის, დაწვისა და ფერფლის შამპანურთან ერთად მირთმევის რიტუალი, სანამ საათი 12-ს ჩამოჰკრავს – ყოველთვის პოპულარობით სარგებლობდა და წელსაც აქტუალური იქნება, მით უფრო, რომ გამოცდილი ადამიანები ირწმუნებიან, თითქოს რიტუალი მართლაც ამართლებს, უბრალოდ ყველა პირობის შესრულებაა ძალიან რთული. ამასთანავე, ამბობენ, თითქოს მომავალი წელი მისთვის იქნება ყველაზე იღბლიანი, ვის ბოკალსაც შამპანურის ბოლო წვეთი შეავსებს, ბედნიერებას კი, ის ოჯახი დაიბევებს, ვისაც პირველ იანვარს მეკვლედ შეძლებული და საჩუქრებით დახუნძლული მამაკაცი ესტუმრება.

უიღბლობის გასტუმრების და წარმატების სახლში მოპატიჟების საუკეთესო საშუალება – სახლის ყველა ფანჯრის გაღებაა ზუსტად 12 საათზე, მომავალი წლის მთავარი თილისმა კი, რა თქმა უნდა, ხის დრაკონის ფიგურა და ძვირფასი სამკაული – დრაკონის ბროში ან კულონი იქნება, რომელიც უხვად აგავსებთ ბარაქით.

მშვიდობით ძველო, უფრო მშვიდობით ახალო!..

# სადღესასწაულო განწყობა ევროპაში



## კოლმარი, კოპენჰაგენი

**ჯადოსნურ სამყაროს ემსგავსება შობის დღესასწაულზე „პატარა ვენეციად“ წოდებული კოლმარიც, რომელსაც განსაკუთრებულ ატმოსფეროს სხვადასხვა ფერის ფარნებით განათებული ქუჩები და არხები, მათ გაყოლებაზე ჩამწკრივებული ფახვერკული სახლები, უძველესი ეკლესია და რა თქმა უნდა, კოიფუს დახურული ბაზრობა მატებს, სადაც უამრავი სუვენირის, ნუგბარისა და ფრანგული ლიქიორის შეძენა შეიძლება.**

საშობაო ზღაპარს ჰგავს კოპენჰაგენში, „ტივოლის ბაღებში“ მოწყობილი საშობაო ბაზრობაც, რადგან 2 ათასამდე ფერადი გირლანდა და უზარმაზარი ნაძვის ხე, პარკში მოხეტიალე ელფები და თავად თოვლის ბაბუა, რომელსაც დანიაში „იულეტომტეს“ უწოდებენ, მართლაც საოცარ ატმოსფეროს ქმნიან. სხვათა შორის „ტივოლი“ ევროპის უძველესი გასართობი პარკია, რომელიც 1843 წელს გაიხსნა.

## ტრენტო, ედინბურგი

**იტალიური ღვინის არომატითაა გაჟღენთილი ტრენტოს საშობაო ბაზრობა, სადაც ტრადიციულ საშობაო კერძებთან ერთად საუკეთესო ღვინის დაგემოვნებაც შეიძლება, რადგან იტალიის ჩრდილოეთ რეგიონმა ტრენტინო-ალტო-ადიჯემ, სწორედ შუშხუნა ღვინის საუკეთესო სახეობების, მათ შორის შარდონესა და პინო-ნუარის წარმოებით გაითქვა სახელი.**

ედინბურგში კი, ტრადიციულ შოტლანდიურ ბაზრობასთან ერთად, რომელიც მეტწილად დახვეწილი სამკაულით ვაჭრობს, რადგან შოტლანდიელებს ჯერ კიდევ წინაპარმა კელტებმა გაუთქვეს სახელი როგორც დახელოვნებულ იუველირებს, გერმანული ბაზრობაც იმართება, რომლის მთავარ სიამაყედ ხელნაკეთი ნაძვის ხის სათამაშოები და სადღესასწაულო მორთულობა ითვლება, შოტლანდიური ვისკის და ნაციონალური კერძის – ჰაგისის დაგემოვნება კი, არა მხოლოდ ბაზრობებზე, ერთად მთელ ქალაქში შეიძლება.

## სტოკჰოლმი, პრაღა, ბუდაპეშტი

**სტოკჰოლმის ისტორიულ ნაწილში – სტორტორგეტის რაიონში, სამეფო სასახლესთან მოწყობილი ბაზრობა, ადგილობრივი ოსტატების ხელნაკეთი სუვენირებითა და ნაციონალური დელიკატესებით ანებივრებს სტუმრებს, თუმცა ყველაზე საინტერესო და სახალისო მაინც ბაზრობის ტერიტორიაზე მოწყობილი კვესტური თამაშია „გაიცანი ძველი ქალაქი“.**

პრაღის საშობაო ბაზრობაზე, რომელიც კლასიკური ევროპული ბაზრის ტრადიციების დაცვით იმართება, ისე როგორც საუკუნეების წინ, დღესაც შეიძლება ხისა და ჩალის ნაძვის ხის სათამაშოების შეძენა, თაფლაკვერის, თხილის ორცხობილას და ცხელი ღვინის მირთმევა, რომელიც საშობაო ბაზრობის აუცილებელი ატრიბუტია.

ბუდაპეშტში, ვერეშმარტის მოედანზე მოწყობილი ბაზრობა საშობაო მელოდიებით, ახლად გამომცხვარი ფუნთუშებითა და დარიჩინის სურნელით ქმნის მთელ ქალაქში სადღესასწაულო განწყობას, მით უფრო, რომ მეზობელი ქალაქებისგან განსხვავებით უნგრეთის დედაქალაქი მთელი ღამე მასპინძლობს სტუმრებს, რომელთაც სხვა კერძებთან ერთად ტრადიციული ცხარე სოსისით, ვაშლის შტრუდელით და გლინტვაინით უმასპინძლდება.



# ვის რა მნიშვნელოვანი ცვლილებები და სიურპრიზები ელის 2024 წელს

### მშვილდოსანი

**კარიერა** – საუკეთესო პერიოდი მშვილდოსნის ნიშნით დაბადებულთათვის წლის დასაწყისი იქნება, როცა მოზღვავებული ენერგიის ფონზე თვითონაც დაიჯერებს და სხვასაც დააჯერებს, რომ მთების გადადგმა შეუძლია. მაქსიმალურად გამოიყენეთ წლის პირველი ნახევარი მაისის თვემდე, განიხილეთ ახალი პროექტები და დასახეთ სამომავლო გეგმები. ნაკლებად გაამართლებს ზაფხული, შემოდგომაზე კი, თქვენი პასიურობით გათამამებული კონკურენტები გაიძულებენ ლიდერის პოზიციის დათმობას.

**პირადი ცხოვრება** – დაქორწინებულ და დაწყვილებულ მშვილდოსნებს ოჯახში მატება ელით, მათ კი, ვინც მარტოა, დროა მატებაზეც დაფიქრდეს და ოჯახის შექმნაზეც, რადგან 2024 წელს დრაკონი სწორედ მყარ ოჯახს და მტკიცე ურთიერთობას წაახალისებს.

### თხის რქა

**კარიერა** – მართალია, თხის რქის ნიშნით დაბადებულთა უმეტესობა სხვა ქალაქში ან ქვეყანაში გადაწყვეტს გადაბარგებას, ამიტომ აქტიურად შეუდგება ახალი სამსახურის ძებნას, მაგრამ დრაკონი ნაკლებად მოიწონებს მის გადაწყვეტილებას და მაქსიმალურად შეაფერხებს ყველა წამოწყებას. უმჯობესია მოგზაურობა შემდეგი წლისთვის გადადოთ და ისევ ძველ სამსახურს დაუბრუნდეთ.

**პირადი ცხოვრება** – ნაკლებადაა მოსალოდნელი ცვლილებები თხის რქის პირად ცხოვრებაშიც, თუმცა, სასიამოვნო სიურპრიზი ელის მეუღლისა ან პარტნიორისგან, რომელიც ხანგრძლივი ურთიერთობის მიუხედავად მაინც შეძლებს მის გაკვირვებას რომანტიკული ვახშმის მოწყობით. არ გაუმართლებთ არც მარტოხელა თხის რქებს, რადგან თავბრუდამხვევი რომანების მიუხედავად, მაინც ვერავისთან შეძლებენ სერიოზული ურთიერთობის გაბმას.

### მერწყული

**კარიერა** – მერწყულის ნიშნით დაბადებულებს დრაკონი არა მხოლოდ სერიოზულობის და პასუხისმგებლობის გამოჩენას, არამედ გამოფხიზლებას და აქტიურად მოქმედებასაც აიძულებს, რადგან კომფორტული სტაბილურობა, რომელიც სამსახურში მოიწყვეთ დიდი ხანია სტაგნაციას დაემსგავსა. დროა, გაიღვიძოთ და ხმამაღლა განაცხადოთ საკუთარი შესაძლებლობების შესახებ.

**პირადი ცხოვრება** – დაწყვილებულ მერწყულებს მეტი ლოიალურობის გამოჩენა მართებთ, დროა ისწავლოთ პატიება და მისცეთ საყვარელ ადამიანს შეცდომების გამოსწორების შანსი, რადგან უშეცდომო არავინაა, მარტოხელა მერწყულებს კი, პარტნიორების მიმართ მოთხოვნების გრძელი სიის შემოკლება მოუწევთ.

### თევზები

**კარიერა** – მეტი მონდომებისა და ენთუზიაზმის გამოჩენა მოუწევთ თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს, რადგან წლების განმავლობაში გაზარმაცებულებს, ძალიან გაუჭირდებათ მობილიზაცია და დრაკონის მიერ შეთავაზებული გამოწვევების დაძლევა. ნუ შეუშინდებით სიახლეებს, რადგან ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის ნეგატიურიც - გამოცდილებაა, რომელიც აუცილებლად გამოგადგებათ მომავალში. არ ღირს მნიშვნელოვანი საქმეების გადადება, რადგან წლის ბოლოს ყველა გადადებული პროექტისთვის ერთად მოგთხოვენ პასუხს.

**პირადი ცხოვრება** – სერიოზული გამოცდა ელით თევზებს პირად ცხოვრებაში, რადგან დრაკონი პირველ რიგში მათ ერთგულებას შეამოწმებს. დაწყვილებულ თევზებს მეტი გულწრფელობის გამოჩენა მართებთ საკუთარ თავთან, აღიარეთ შეცდომები და ნუ ეცდებით ყველაფრის პარტნიორისთვის გადაბრალებას, რადგან უმიზეზოდ თავდასხმას პასუხიც შესაბამისი მოჰყვება და ისევ თქვენ დაზარალდებით.





# აღმოსავლური ჰოროსკოპის რომელ ნიშანს გაუმართლებს ყველაზე მეტად

**მართალია, საერთო ჯამში ხის მწვანე დრაკონი მშვიდი და აუღელვებელი იქნება, მაგრამ ზოგიერთ ნიშანს სიხარულსა და წარმატებას მოუტანს, ზოგს კი, სირთულეებით გამოცდის.**

**ვირთხა** – დრაკონი და ვირთხა დიდი ხანია მეგობრობენ, ამიტომ ჰოროსკოპის ეს ნიშანი საქმიანობის ყველა სფეროში წარმატებული იქნება.

**ხარი** – მრავალსაუკუნოვანი კონკურენცია ხარსა და დრაკონს შორის სწორედ 2024 წელს მიაღწევს პიკს, ამიტომ ხარს სერიოზულ ბრძოლაში მოუწევს ჩაბმა, რათა საკუთარი ადგილი მოიპოვოს მზის ქვეშ.

**ვეფხვი** – საუკეთესო საჩუქრად ვეფხვისთვის საიმედო მეგობრები და პარტნიორები გახდებიან, ვისთან ერთადაც გრანდიოზული წარმატების მიღწევას შეძლებს.

**კურდღელი (კატა)** – გარშემომყოფებთან საერთო ენის მოძიება და საქმეში წარმატება მხოლოდ კურდღლის მოქნილობასა და დათმობის უნარზე იქნება დამოკიდებული.

**დრაკონი** – რა თქმა უნდა, 2024 წლის ფავორიტი თავად დრაკონია, რომელსაც ყველაზე მეტად გაუმართლებს, რადგან მთელი წელი საინტერესო მოვლენებითა და ახალი ნაცნობობით იქნება დატვირთული.

**გველი** – დრაკონის მონათესავე გველს წარმატების მისაღწევად და ავტორიტეტის მოსაპოვებლად თანდაყოლილი სიბრძნისა და მოთმინების გამოჩენა მოუწევს.

**ცხენი** – ზოდიაქოს ამ ნიშანს ნაკლებად სწყალობს დრაკონი, ამიტომ უკეთესი იქნება თუ 2024 წელს ჩრდილში დარჩება და ნაკლებად იაქტიურებს.

**ცხვარი (თხა)** – წელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული თუ ცხვარი მეტ მოკრძალებას, თავშეკავებას გამოიჩენს, უარს იტყვის კაპრიზებზე და სხვებივით იშრომებს.

**მაიმუნი** – მობილური და ენერგიული მაიმუნი ყოველთვის ახერხებს დრაკონის გახალისებას, ამიტომ მისი მფარველობითაც უპირობოდ სარგებლობს, თუმცა წელს მეტი გონიერების გამოჩენა და ჩვეულ გაქნილობაზე უარის თქმა მოუწევს, რათა კეთილგანწყობის ნაცვლად რისხვა არ დაიმსახუროს.

**მამალი** – დრაკონის „ბუმბულიანი ანალოგი“, რომელსაც ხშირად ადარებენ ხასიათის თავისებურებების გამო, სწორედ ამ უპირატესობით ისარგებლებს და მთელ წელს საკუთარ სურვილებს მოარგებს.

**ძაღლი** – მართალია, თავნება ძაღლი წლის დასაწყისში ძალიან გაჯიუტდება და არ მოინდომებს დრაკონის წესების მიღებას, მაგრამ მალე დაიხევს უკან და მორჩილად გააგრძელებს საქმის კეთებას.

**ღორი (ღორი)** – საკმაოდ ნაყოფიერი იქნება წელი ტახისთვის, მთავარია ზედმეტად არ გაიტაცოს საკუთარ თავზე ფიქრმა და ახლობლებზე ზრუნვისთვისაც გამონახოს დრო.



# ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

**პოლიტიკური თვალსაზრისით ისედაც მრისხანე 2023 წლის მიწურულს საზოგადოების მორიგი აღშფოთება ევროკავშირის დროშის დაწვის გამო ერთი პატრიოტი ქართველი ბიჭის დაპატიმრება-გასამართლებამ გამოიწვია. უფრო კონკრეტულად, აღშფოთების საგნად იქცა სასჯელის ზომა, თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით (ექვსი წლით!), რაც ამ ბიჭს სასამართლომ შეუფარდა.**

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების ქრონიკულად მოძულეთა გარდა, აღშფოთებულთა რიგებში საზოგადოებისათვის ფრიად პატივსაცემი ადამიანებიც აღმოჩნდნენ. მესმის მათი – ვიღაცის დროშის დაწვისთვის ქართველი ახალგაზრდა პატრიოტი მოქალაქის ექვსწლიანი პატიმრობა მართლაც სისასტიკედ ჩანს. მით უფრო, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად (მუხლი 174, 18): **1. საჯარო დაწესებულების მიერ აღმართული/გამოფენილი ევროპის კავშირის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, რომლის წევრიც არის საქართველო, ოფიციალური სიმბოლოს შებღალვა ან საჯარო დაწესებულების მიერ აღმართული/გამოფენილი იმ სახელმწიფოს, რომელთანაც საქართველოს აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, დროშის ან გერბის შებღალვა /გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარით.**

აქვე მინდოდა დამეგუგუნებინა, ძირს სასტიკი მთავრობა, თავისუფლება დროშების დამწველ კაი ბიჭებს-მეთქი, მაგრამ მოდი, მანამდე ვნახოთ, ამგვარი დანაშაულისთვის რას ითვალისწინებს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 187, ნივთის დაზიანება ან განადგურება):



**1. სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე, გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ერთ წლამდე, შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.**

**2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით; ბ) არაერთგზის; გ) ჯგუფურად, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.**

გეთანხმებით, ამ კანონის მიხედვითაც პატრიოტი ანტიდროშისტისთვის სასამართლოს სამართლიანი, კანონის სრულიად შესაბამისი, მაგრამ მაქსიმალური სასჯელი გამოუტანია. ასე რომ, საბაბი ანტისამთავრობო შეძახილებისთვის ჯერ კიდევ ძალაშია. ვფიქრობ, საინტერესოა, რატომ უნდა მისულიყო სასამართლო ამგვარ მართლაც საჭოჭმანო გადაწყვეტილებამდე.



პასუხი ამ კითხვაზე, სამწუხაროდ, საკმაოდ ტრივიალურია. ევროპული ზღაპრებით იქნებ არც მე ვარ მოხიბლული, მაგრამ თუ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს გავითვალისწინებთ, პროტესტის ნიშნად ევროკავშირის სიმბოლოს საჯაროდ დაწვა მიმართულია არამარტო მისი, არამედ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ეს არის საქართველოს, ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და არაფერი აქვს საერთო „ქონების განადგურებასთან" (რაც თავის მხრივ, ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

რასაკვირველია, სასამართლოს შეეძლო უფრო ლოიალური განაჩენის გამოტანა, თუმცა, სავარაუდოდ, ამით კიდევ უფრო წააქეზებდა იმ ბუჩქებში მოხითხითე კლანს, ვინც ეს უბირი ბიჭი აცდუნა და ექვსი წლით ციხეში გაისტუმრა.

ბოდიშის მოხდით, იმ ციხეში გამოკეტილი ბიჭის, მისი ალალი, გულუბრყვილო და თაღლითი დამცველების გასაგონად გავიმეორებ – ხელისუფლების პოლიტიკისა და, თუნდაც, ევროკავშირისადმი პროტესტის ნიშნად, „მოლოტოვის კოქტეილებით" ადამიანების სასიკვდილოდ გამეტება და დროშებისთვის ცეცხლის წაკიდება აუცილებელი სულაც არ არის. ამისთვის გაცილებით უფრო ცივილიზებული, არგუმენტების მოშველიებით გაჯერებული საშუალებებიც არსებობს. მაგალითად, საჯარო პოლემიკა კანონების მცოდნე ადამიანების მონაწილეობით. ან, მცირე ხნით ჩაფიქრება რაიმე ურაპატრიოტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გულუბრყვილო „პატრიოტების" დიდი ხნით პატიმრობისთვის გამეტებაც სწორედ ამ მარტივი ჭეშმარიტების უცოდინარობის ბრალია.



**თეიმურაზ ქორიძე.**

# რა გადაგვხდა წლეულს, რას გვიქადის მომავალი...



**რამდენიმე დღეც და დასრულდება საქართველოს უახლეს ისტორიაში თავისი მნიშვნელობით გამორჩეული 2023 წელი. მაინც რა გამოარჩევს მას XXI საუკუნის უკვე განვლილი წლებიდან როგორც ქვეყნისთვის, ისე ჩვენს თანამემამულეთათვის და არნახულად მომრავლებულ უცხოელთათვის, რომელთაგან ძალიან ბევრი საქართველოში თავშესაფრის ძებნაშია ჩამოსული? აი, ეს გახლავთ ერთი იმ კითხვათაგან, რომლითაც ექსპრეს-გამოკითხვისას საახალწლოდ მივმართეთ რამდენიმე შემთხვევით შერჩეულ რესპონდენტს. მეორე კითხვა კი მოლოდინს, დამდეგ წელს სამომავლო გეგმებს ეხებოდა.**

**ვახტანგ სოფრომაძე, ინდმეწარმე, 46 წლის:** – თქმა არ უნდა, 2023 წელი საქართველოს ახალ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წელია, რადგან როგორც იქნა „შევდექით იმ ლიანდაგზე", რომელმაც ახლა ყოველგვარი დიდი შეფერხებების გარეშე უნდა მიგვიყვანოს დასახულ მიზნამდე – თავისუფალ ევროპულ ხალხთა ამქარში საკადრისი, ღირსეული ადგილის დაკავებამდე და იქ დამკვიდრებამდე. ეს, ცხადია, 2023 წლის (და არა მარტო!) ყველაზე ღირსშენიშნავი სასიხარულო ამბავია. ვულოცავ ამ დიდებულ საქმეს ყველა ჩვენს თანამემამულეს – რომ იტყვიან, შინ და გარეთ!

რაც შეეხება პირადად ჩემს საქმიანობას, არსებული ვითარების გათვალისწინებით, ყველაფერი მეტ-ნაკლებად რიგზეა, ოჯახის წევრები მხნედ მყვანან და ყველანი თავიანთი საქმეებით არიან დაკავებულები, რის გამოც უდიდეს მადლობას ვწირავ უფალს და მომავალსაც იმედიანად გაცქერი!

**ნანა ლაზაძე, ეკონომისტი:** – 2023 წელი უდავოდ დიდი მიღწევის წელია – საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღო, რომლის საბოლოო მიღწევა ერთი რომ ჩვენი უსაფრთხოების გარანტია იქნება, მეორე კიდევ მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესებას მოგვიტანს, რაც ჩემი აზრით, ყველა ხელისუფლების უპირველესი საზრუნავია. სხვა მხრივ, სამსახურის კმაყოფილი ვარ, კარგი კოლექტივი გვყავს, მეუღლეც მუშაობს, ბავშვები სწავლობენ, მათ მოვლა-პატრონობაში ჩვენი მშობლები გვეხმარებიან.

**გია კიკნაძე, მოქანდაკე, 75 წლის:** – 2012 წლის შემდეგ, 2023-ისნაირი მნიშვნელოვანი წელი, ჩემი აზრით, არ ყოფილა. სიმართლე გითხრათ, იმედი მქონდა, რომ თუკი საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებდა, მეგონა, რომ „ქართული ოცნების" კრიჭაში მდგომი ოპოზიციის მხრიდან ტალახის სროლის უბინძურესი პროცესი მთლად თუ არ მოისპობოდა, მისი ინტენსივობა მაინც საგრძნობლად მოიკლებდა, მაგრამ, რასაც მათი „ნაგავვიზიებით" ვუცქერ და ვისმენ, უნამუსობის ზღვრებსაც კი სცილდება! როგორც ჩანს, მართლა „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა"! – ამ ადამიანებს ხელისუფლებაში მოსვლა იმდენად ცხოველურ დონეზე აქვთ გამჯდარი, რომ შანთითაც ვერ ამოწვავ!

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩვენში, სამწუხაროდ, სოციალური წყობის „ხორცმეტების" (მაგალითად, კომპარტიის რაიკომის) მოსპობის შემდეგ, ბევრი ისეთი ინსტიტუციაც მოისპო, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო მხარდაჭერა დაკარგა, რომელსაც დანგრევა კი არა, გარკვეული „შეკეთება" (ისიც ხშირად მხოლოდ კოსმეტიკური) სჭირდებოდა. მე, ცხადია, პირველ ყოვლისა, ხელოვნების დარგზე მაქვს ლაპარაკი. ახლა კი ხშირად ბევრი რამ მხოლოდ მავანთა პირადულ მერკანტილურ ინტერესებსა და სრულიად არაპროფესიონალურ თვალთახედვაზეა დამოკიდებული, რაც დასანანია.

**რამაზ გაკურაძე, 58 წლის, არქიტექტორი:** – როცა ოჯახში მშვიდობაა, ადამიანს აუცილებლად გინდა, რომ საზოგადოებაშიც და ქუჩაშიც ურთიერთობები ჰარმონიული იყოს, რასაც, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ვერ მივაღწიეთ. მეტიც: ტელევიზიები – რომელიც გნებავთ ჩართეთ! – საომარი შეტაკებების, ხალხის დარბევის, ტერორისტული სისაძაგლეების „ცოცხალ" სურათებს გადმოსცემენ, რომელთა ნახვა ისევე აღარ გვიკვირს, როგორც ის ამბავი, რომ უცხოეთში გამართული საინტერესო საფეხბურთო შეხვედრების სანახავად სოფელ პანტიანის მიდამოებში წასვლა და იქ გათოშვა აღარაა საჭირო: მოკალათდით საკუთარ ტელევიზორთან და უცქირე რამდენიც გინდა! ამას, ცხადია, ხალხის მასაში ერთგვარი ნიჰილიზმი და გულგრილობა გააჩინა, რაც ყოველდღიურ ყოფაში დღითიდღე საგრძნობი ხდება.

2023 წლის მოვლენებს შორის, რასაკვირველია, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას გამოვყოფდი, მაგრამ, ჩემი აზრით, მსოფლიოს მასშტაბით გაცილებით მნიშვნელოვანია ისრაელ-პალესტინის ომის დაწყება და რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილის მიტაცება! საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევაც სწორედ ამ კონფლიქტების თუნდაც „ცხელი დაპირისპირების" განელებაზე, შემდგომ კი სრულ განეიტრალებაზე უნდა იყოს მიმართული.

**ლია ხომერიკი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, 18 წლის:** – ამჟამად ჩემი პირველი სტუდენტური სესიის ციებ-ცხელების დღეებია... მთელი ყურადღება მეცადინეობაზე მაქვს გადატანილი, ტელევიზორის საცქერლად და, მითუმეტეს, კომპიუტერში თამაშებით გასართობად ანდა მეგობრებთან საურთიერთობოდ დრო ნამდვილად არ მაქვს. ისე კი, წლევანდელი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ნამდვილად საქართველოს მიერ სტატუსის მოპოვება და ისრაელზე ჰამასის თავდასხმა იყო.



**ლევან მამისთვალოვი, 69 წლის, პენსიონერი:** მომავალ წელს არჩევნებია, რაც ძალიან დიდი ამბავია ქვეყანაში. მე არა ვარ პოლიტიკის დიდი მოყვარული კაცი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ მაინტერესებდეს რაც ხდება ჩემს ქვეყანაში და მსოფლიოში. ძალიან დაძაბული მდგომარეობაა, რომელიც ყოველ წელწადს უფრო მეტად რთულდება და ასე უსასრულოდ რომ ვერ გაგრძელდება, ნაღდია! ამიტომ გონს უნდა მოეგონ, ვისაც ამის ძალაუფლება აქვს! პირველ რიგში, ვგულისხმობ რუსეთს, ამერიკას, ისრაელს, არაბეთის ქვეყნებს. ისეთი მდგომარეობაა, რომ მთელი მსოფლიო შეიძლება ერთ დღეში აირიოს. ამიტომაცაა სწორედ რომ ჩვენ საკუთარ სახლში მაინც უნდა გვქონდეს მშვიდობა, საჭიროა პოლიტიკოსებმა – ოპოზიციამაც და პოზიციამაც! – გონიერება გამოიჩინონ და მთელი დრო ერთმანეთისთვის ტალახის სროლას კი არა მოანდომონ, არამედ საქმის ხალხის საკეთილდღეოდ წარმართვაზე იფიქრონ.

სამწუხაროა, რომ ამაზე მიწევს ლაპარაკი საახალწლოდ. მაგრამ, არ შემიძლია ჩემი (და არა მარტო ჩემი!) გულისტკივილი არ გამოვთქვა: ხალხზე დიდად არავინ ფიქრობს! სხვა შემთხვევაში, ჩემი (და არა მარტო ჩემი!) საპენსიო დანამატი გაისად მარტო 20 ლარი არ იქნებოდა, აგა, ნახეთ, დეპუტატები ათასებს იმატებენ, დამსახურებული ასაკოვანი ხალხი კი, ვინც მთელი ცხოვრება პატიოსნად იშრომა, ახლა კაპიკების პენსიებს ვიღებთ! სირცხვილია!

**ირა ჩერვონენკო, კომერციული სტრუქტურის პროგრამისტი, ხარკოვიდან დევნილი, 28 წლის:** – საქართველოში ჩამოვედით და ამით თავს ვუშველეთ. ეს ჯერ კიდევ შარშან იყო. მე და მეუღლეს სამი მცირეწლოვანი შვილი გვყავს და მე მინდა უდიდესი მადლობა ვუთხრა ქართველ ხალხს იმ სითბოსთვის, რომლითაც აქ დაგვხვდნენ! უკრაინაში ყოველთვის ვიცოდით, რომ ქართველები ერთ-ერთი გამორჩეული, სიკეთის მატარებელი ხალხია, მაგრამ ჩვენ თავზე განცდილმა ყველაზე დიდ მოლოდინს გადააჭარბა!

**გილოცავთ ევროკავშირის კანდიდატების სტატუსის მონიჭებას და იმედი მაქვს, რომ უკრაინა და საქართველო გაერთიანებულ ევროპაშიც ერთმანეთის გვერდიგვერდ იქნებიან მუდამ. დიდება უკრაინას! დიდება საქართველოს! დიდება მეგობრობას!**

**ჩაიწერა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

# უშანგი დალალიშვილი – სამაგალითო მამულიშვილი



ნესტორ დალალიშვილის შთამომავლები სვირის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის ეზოში, 2017 წლის ივლისი



**ულამაზესი სვირი ძირძველ მესხეთში, ახალციხის მუნიციპალიტეტში მთაზე შეფენილი, მყუდრო სოფელია. ცხოვრობენ ალალი, წელგამართული, სტუმართმოყვარე, გამრჯე ადამიანები – გელაშვილები, მაღლაკელიძეები, ლომიძეები, მანჩხაშვილები, ღონღაძეები, დალალიშვილები. ცხოვრობენ შეხმატკბილებულად, ტრადიციების დაცვითა და ქართული ადათ-წესებით. საუკუნის წინ მომხდურთა შემოსევებისა და შემდგომ დამპყრობთა სისასტიკით შეწუხებული ეს მშრომელი ხალხი მშობლიური კუთხიდან აყრილა და მაღალმთიან იმერეთს შეხიზვნია, იქაც ულამაზესი სოფელი გაუშენებიათ. თავიანთი სოფლის სახელიც – სვირიც, დაუნათლებიათ და აქ დამკვიდრებულ-გამრავლებულან. ასეთი ლამაზი ისტორია-ლეგენდით იწონებს თავს მესხური სვირი და ზემოიმერული სვირი.**

ჩვენი რესპონდენტი, ვისზეც უნდა მოგითხროთ, ერთი ალალი, პატიოსანი, მშრომელი და ფუტკარივით მოფუსფუსე კაცია, რომელიც მკვიდრად იცავს თავისი კუთხისა და გვარის ტრადიციებს. უშანგი დალალიშვილის წინაპრებიც მესხეთიდან წამოსულან და ზემო იმერეთის, ლეგენდარულ, უიშვიათეს სოფელ ნუნისს შეხიზვნიან. სწორედ აქ დაიბადა უშანგი დალალიშვილიც ამ 85 წლის წინათ, სოფელში გამორჩეული, ჭკუის საკითხავი და ვაჟკაცი მეურნე კაცის ნესტორ დალალიშვილისა და ალექსანდრა გუნცაძის ოჯახში. მრავალშვილიანი ოჯახის პირველი ვაჟი გახლდათ, რომანტიკული ხასიათის, ხელოვნებაზე შეყვარებული, ბავშვობიდანვე შრომას შეჭიდებული. ხუთი წლისა ყოფილა, როდესაც (მეორე მსოფლიო ომი ჯერაც არ იყო დამთავრებული) ნუნისის მოსახლეობა მესხეთის სვირში ჩასახლებულა. ახალი გარემო, ისტორიული ფესვები, მიწის ყივილი თუ გააჩერებდა კაცს უცხო გარემოში და ნესტორ დალალიშვილის ოჯახმაც ახალი ცხოვრება დაიწყო. **„ომიდან მძიმე ჭრილობის გამო დემობილიზებული მამა სოფლის მეურნეობის მოწინავე კაცი გახდა, ბრიგადირად მუშაობდა, დღეღამეს ასწორებდა, რომ ცხრაშვილიანი ოჯახისთვის გაჭირვება არ ეგრძნობინებინა, არადა, დრო მართლაც მძიმე იყოო“,** – იხსენებს ბატონი უშანგი.

მეექვსე კლასში იყო, დედა რომ გარდაეცვალა. პატარა და-ძმების მოვლაში მამას გვერდში ედგა. მარტოხელა ნესტორი მეორედ დაქორწინდა დუნია (დუნიაშა) კურტანიძეზე, ამ უკეთილშობილესმა ქალბატონმა მართლაც საოცარი დედობა გაუწია დაობლებულ ბავშვებს და უერთგულესი მეუღლე გახდა მრავალსულიანი ოჯახის მამისთვის. **„მეორე დედაც მყავდაო, დუნიაშა“,** – სითბოთი იხსენებს უშანგი დალალიშვილი.

* * *

**უკვე მეშვიდე წელია, სოფელ სვირის მოსახლეობას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ზარის ხმა აღვიძებს. მორწმუნე სვირელები ღმერთს სამადლობელს წირავენ მშვიდობისა და სამშობლოს კეთილდღეობისთვის. ლოცავენ უშანგი დალალიშვილს, ამ ტაძრის ამშენებელს, ქტიტორს, რომელმაც საკუთარი სახსრებით ააგო ეს მშვენიერი ტაძარი მშობლიური სოფლისთვის.**

გვქონდა ბედნიერება, ტაძრის კურთხევის დღეს ჩავსულიყავით სოფელ სვირში. ტაძარი მეუფე თეოდორემ აკურთხა. უამრავი ხალხი მოგროვდა ამ დღეს სოფელში. არამხოლოდ ადგილობრივები, რომლებსაც სალოცავად ათეულ კილომეტრზე უხდებოდა წასვლა, არამედ დედაქალაქიდან ჩასული ადამიანები, რომლებიც ბატონი უშანგის საახლობლო გახლდათ და მართლაც გულშემატკივრობდნენ მას ამ მამულიშვილურ საქმეში. მამა ნიკოლოზ აბრამიშვილი პირველი დღიდან მოყოლებული დღემდე ემსახურება ტაძარს, წირავს მრევლს...

* * *

**„ოჯახში ყველა ინჟინრები შევიკრიბენითო“, – სიამაყით ამბობს ბატონი უშანგი. ეამაყება თავისი პროფესია, მიუხედავად იმისა, რომ ყველას ახსოვს მისი გატაცება ხელოვნებით. ხალისიანი, მუსიკალური და არტისტული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა მართლაც სული და გული იყო ყველა თავშეკრებისა.**

არცერთი კონცერტი, შემოქმედებითი საღამო, სახალხო დღესასწაული და ღონისძიება არ ჩატარდებოდა მესხეთში, რომ უშანგი დალალიშვილს არ მიეღო მონაწილეობა და თავისი ცეკვით არ მოენუსხა მნახველი. გასული საუკუნის სამოციან წლებში მესხეთის ქალაქებსა თუ სოფლებში, სადაც კი ქართული ქორეოგრაფია ვითარდებოდა, უდიდესი წვლილი მიუძღოდა უშანგი დალალიშვილს. მისი ნიჭიერების დამადასტურებელი ისიცაა, რომ წლების განმავლობაში ლეგენდარული „სუხიშვილების ანსამბლის“ წევრიც იყო. დღესაც იხსენებენ მის მიერ მართლაც ვირტუოზულად შესრულებულ ცეკვას – სოლოს დოლის თანხლებით. გახლდათ სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატი. სტუდენტობის დროსაც დიდ ადგილს უთმობდა ცეკვას, ცნობილი ქორეოგრაფის გივი ანთიძის ღირსეული შეგირდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მრავალი ოლიმპიადისა თუ მხატვრული დათვალიერება-კონკურსების გამარჯვებულს არასოდეს შეურცხვენია თავისი მასწავლებლები. ინჟინრის პროფესიამ მაინც იძალა და უშანგი დალალიშვილმა მართლაც აქაც ისახელა თავი. წლების განმავლობაში მუშაობდა მეტალოკომბინატში, ტყავ-მომარაგების სისტემაში და ყველგან, თავისი პროფესიონალიზმითა და თავმდაბლობით, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით გამორჩეული სახელი დატოვა. ახლა ასაკში შესული მცირე ბიზნესს ეწევა.

* * *

**ოჯახი დიდი სიყვარულით შექმნა და დღემდე გასაოცარი ერთგულებითა და ურთიერთპატივისცემით მოდიან ბატონი უშანგი და მისი რჩეული, ქალბატონი ნანული გერიშვილი, ისიც პროფესიით ინჟინერია**. სამშობლოს ორი უპატიოსნესი და სამაგალითო შვილი აღუზარდეს. ვაჟი **პაატა დალალიშვილი** წარმატებული მშენებელ-ინჟინერია. სარეკლამო კომპანიას ხელმძღვანელობს. პროფესიით ინჟინერია ქალიშვილი **მაკაც**, რომელმაც შემდგომ სამედიცინო ინსტიტუტიც დაამთავრა, მაგრამ ამჟამად ვაჟკაცის აღზრდითაა დაკავებული. ერთი ვაჟკაცის მამაა პაატაც. ასე რომ, უშანგი დალალიშვილის ოჯახში ბაბუს რჩეულები – ნიკოლოზ და ანდრია დალალიშვილები აგრძელებენ იმ ტრადიციას, რომელსაც კაცთმოყვარეობა და სიყვარული, საქმის ერთგულება და ოჯახის სიძლიერე ჰქვია.

**„ბაბუაჩემი თევდორე დალალიშვილი თოთხმეტი შვილის მამა იყო. შვიდი ვაჟკაცი და შვიდი ქალიშვილი გაუზარდა სამშობლოს. მამაჩემი, ნესტორ დალალიშვილი შვიდი ვაჟისა და ორი ქალიშვილის აღმზრდელი გახლდათ. 85 წლის გარდაიცვალა და მარადიულ საუფლოში 9 შვილი, 26 შვილიშვილი და 16 შვილთაშვილი აცილებდა. მე ცოტა მოვიკოჭლე ამ საქმეშიო“,** – ბრძანებს ბატონი უშანგი. მაგრამ ისიც დიდი გმირობაა, უმცროსი დედმამიშვილები რომ აღზარდო, ყველას დაეხმარო განათლების მიღებაში, გვერდით დაუდგე და დღემდე ერთგულად უპატრონო. ცხოვრობენ და მოღვაწეობენ უშანგი დალალიშვილის და-ძმები თბილისში, რუსთავში, გორში, სვირში. ამრავლებენ გვარს, არ არცხვენენ სისხლს და ერთგულობენ ტრადიციებს, იღვწიან სამშობლოსა და ოჯახის კეთილდღეობისთვის. ამაზე მეტი საამაყო რა უნდა ჰქონდეს კაცს.

* * *

**წლეულს 85 წელი შეუსრულდა. ყველა ხარობდა გვარის უფროსის მხნეობითა და ახალგაზრდული ენერგიით. უამრავი სტუმარი ულოცავდა იუბილეს ბატონ უშანგის, ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო და გამორჩეული ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ მისი სიკეთე, თანადგომა, ქველმოქმედება, თავმდაბლობა, პატიოსნება და ერთგულება.**

ასეთი კაცია უშანგი დალალიშვილი, ღირსეული მონა ღვთისა, რომელიც ღმერთთან პირნათლად წარდგება.

ყოველდღე რეკავს ტაძრის ზარი ნიშნად და შეგონებად იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, თავსაც არგოს და სოფელსაც. ასეთი ადამიანებით ძლიერდება საქართველო.

მართლაც არაფერი ყოფილა 85 წელი. დღესაც ფუტკარივით შრომობს, პატარა ბიზნესს ეწევა, უთენია გარბის სამსახურში და გვიან ბრუნდება საკუთარ ნავსაყუდელში, თბილ და ლამაზ ოჯახში... უშრომლად ერთი წუთიც არ ყოფილა და ახლა რა გააჩერებს. ხშირად ეახლება მშობლიურ სვირს, მოილოცავს თავის მიერ აგებულ ტაძარში. საქართველოსა და ოჯახს, ახლობლებსა და ყველა ქართველს შეავედრებს ღმერთს და ამაღლებული განწყობით, სულიერად განწმენდილი უბრუნდება დედაქალაქს. საქმეს რა გამოლევს...

ღმერთო, უმრავლე სამშობლოს ამგვარი თავდადებული, აღმატებული, მშრომელი და ერთგული ხალხი.

**მამუკა ვაშაკიძე**



ცხოვრების უერთგულესი მეგზური ქალბატონი ნანული



თავს ყოველთვის მხნედ გრძნობს დედმამიშვილების გარემოცვაში



შვილებთან ერთად

# სპორტი




### დრაკონის წლის წინ



## შარშანდელი მონაგრით – პარიზისკენ!

**შოგა-ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო სპორტის გულშემატკივრებო და ოლიმპიური სეზონის ზღურბლთან, მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი უკვე ისტორიად ქცეული 2023-ის მთავარ მოვლენებს.**

ვინაიდან ზემოთ უკვე ვახსენეთ პარიზის თამაშები, უპრიანია უპირველესად მის სავარაუდო ტრიუმფატორებს შევაწიოთ ორიოდე სიტყვა, მით უმეტეს, მათ შარშანაც არაერთხელ გვასახელეს.

განსაკუთრებით გვეამაყება ყველა სინჯის უმაღლესი ჯილდოს მფლობელის **ნინო სალუქვაძის** უნიკალური მიღწევა, რომელიც ტყვიას ტყვიაში ძველებურად აჯენს და საფრანგეთის დედაქალაქში მეათედ(!) დაიცავს სამშობლოს ღირსებას. ისიც სათქმელია, რომ 92 წლის ამაგდარი ოსტატის – ვახტანგ სალუქვაძის საფიცარმა შეგირდმა შვილმა ლიცენზია უკანასკნელ ცდაზე მოიპოვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ნერვები ისევ რკინისა აქვს.

ბუნებრივია, ცალკე იმსახურებს დითირამბებს საუკუნის ათლეტი **ლაშა ტალახაძე,** რომელიც შესაშური სტაბილურობით რჩება შტანგის მესაიდუმლედ და ტიტულს ტიტულზე იხვეჭს. ორჭიდის ჯამში ფანტასტიკური 500 კილო და ოთხწლეულის მთავარი ასპარეზობის ზედიზედ მესამე ოქრო – ასეთია სწორუპოვარი საჩხერელი გოლიათის უახლოესი ორიენტირი და დარწმუნებულნი ვართ, ზაფხულში იგი მილოცვებს კვლავაც ვერ აუვა.

ბეჭდაუდებელ ფალავანთა საბუდარში, ტრადიციისამებრ, გრძელდება ორთაბრძოლების ჯვაროსან დოსტატთა დომინაცია, ტონს კი ტატამის ვარსკვლავები იძლევიან. დასტურად **ლუკა მაისურაძე** და **ილია სულამანიძე** გამოდგებიან, რომლებიც თავიანთ წონებში დამაჯერებლად ლიდერობენ საერთაშორისო კლასიფიკაციაში, თუმცა არც დანარჩენები უჩივიან ამბიციების დეფიციტს.

სასიხარულოა, რომ მესამე შანსი ნავსის გატეხვით დააგვირგვინა აჭარელმა „კლასიკოსმა" **ლერი აბულაძემ** და პლანეტას ზემოდან გადმოხედა, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ იგი პიერ დე კუბერტენის ქალაქშიც წარმატებით გაართმევს თავს ფავორიტის სტატუსს ისევე, როგორც „თავისუფალთა" გუნდის კაპიტანი **გენო პეტრიაშვილი,** ვისაც რევანში აქვს ასაღები წინა ოლიმპიადის ფინალში დრამატული წაგებისთვის.

მიმავალი წლის გმირებზე საუბრისას ნურც მოკრივე **ლაშა გურულსა** და ფიგურულ სრიალში პირველ ჩვენებურ ევროპის ჩემპიონს **ანასტასია გუბანოვას** დავივიწყებთ, რომლებიც პარტნიორთა პროგრესის სახეს წარმოადგენენ, ახლა კი სპორტის სათამაშო სახეობებსაც მივაგოთ დამსახურებული პატივი.

თუ მორაგბეთა, წყალბურთელთა და კალათბურთელთაგან, რომლებმაც ღირსეულად დააჭაშნიკეს აზიური მუნდიალი და ოლიმპიურ საგზურსაც შეუტევენ, განებივრებულნი ვართ ფორუმებზე სისტემატური თამაშებით, პერსპექტივის თვალსაზრისით, გამორჩეულად საყურადღებო გახლავთ ახალი სეზონის სტარტზევე ხელბურთელთა ევროპულ დებიუტი გერმანიაში და რამაზ სვანაძის გაწვრთნილი, ახალგაზრდა ფეხბურთელთა სენსაციური წარმატება შინაურ კონტინენტურ პირველობაზე, ეროვნული ნაკრები კი, გვწამს, რამდენიმე თვეში მაინც მოიყვანს დაუვიწყარ გაზაფხულს და ზაფხულში გერმანიის სტადიონებზე ფინალურ რაუნდშიც იჭიკჭიკებს.

**სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის, შარშან არც გულისტკივილი გვაკლდა – მაგალითად, ჯერაც ვერ მოგვინელებია ფუტსალის ნაკრებისთვის ჯიბიდან ამოღებული ისტორიული მსოფლიო ჩემპიონატის საგზური, მაგრამ... ხომ იცით, მოგება და წაგება ძმები არიან.**

**მრავალჟამიერ, ძვირფასებო!**

### ხელბურთი




## ვიწყებთ ნიდერლანდებით

**10-28 იანვარს გერმანიის 6 ქალაქი (დიუსელდორფი, კიოლნი, ბერლინი, ჰამბურგი, მანჰეიმი, მიუნხენი) ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. გახსნის მატჩი დიუსელდორფში, ფინალი კი კიოლნში ჩატარდება.**

ჩემპიონატზე 24 გუნდი თავიდან 6 ჯგუფში მოსინჯავს ძალებს. საქართველოს ეროვნული ნაკრები E ჯგუფში შვედეთს, ნიდერლანდებსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას დაუპირისპირდება. ორთაბრძოლები მანჰეიმში გაიმართება.

**11 იანვარი.** 18:00. ნიდერლანდები – **საქართველო.**

**13 იანვარი.** 20:30. **საქართველო** – შვედეთი.

**15 იანვარი.** 18:00 ბოსნია ჰერცეგოვინა – **საქართველო.**

თბილისის სასტუმრო Holiday Inn-ში საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობისა და ახალი სათამაშო ფორმების წარდგენა გაიმართა. მეორე დღესვე ჩვენი გუნდი რუმინეთში გაემგზავრა ოთხთა ტურნირში სათამაშოდ. 28 დეკემბერს ჩვენები სლოვაკეთს დაუპირისპირდებიან, ხოლო წარმატების შემთხვევაში 29 დეკემბერს რუმინეთსა და საბერძნეთს შორის გამარჯვებულთან გაარკვევენ ურთიერთობას.

**„ფინალური ეტაპისთვის მოსამზადებლად ოქტომბერში გვქონდა სანაკრებო დღეები,** – გვითხრა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ვახტანგ მეიფარიანმა**. – **ჩვენი გუნდი მაშინ რუმინეთში იყო და იქ ორი შეხვედრა მოიგო. ქართველი ხელბურთელები ახლაც რუმინეთში არიან და „კარპატის თასზე" იასპარეზებენ. ნაახალწლევს – 3-6 იანვარს სლოვენიაში გვექნება ორი საწვრთნელი შეხვედრა ქუვეიტისა და საუდის არაბეთის ნაკრებ გუნდებთან, ცხრა იანვარს გერმანიაში ჩავალთ და 11 იანვარს მანჰეიმში პირველ ორთაბრძოლას ნიდერლანდებთან გავმართავთ. მართალია, ტრავმის გამო ნიკოლოზ კალანდაძე გამოგვაკლდა, მაგრამ გუნდში ამაღლებული განწყობაა და ბიჭები მზად არიან, თავდადებით იბრძოლონ. დარწმუნებული ვარ, ღირსეულად ითამაშებენ ევროპის ჩემპიონატზე და ყველაფერს გააკეთებენ ქომაგების გასახარებლად".**

ლევსო ცინცაძე

### ბატუტზე ხტომა

## ღირსეული დასასრული

**თბილისის, გორისა და რუსთავის 40-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა უმცროსი ასაკის ბატუტზე მხტომელთა ღია პირველობაში, რომელიც სპორტის ამ სახეობაში სეზონის ბოლო ტურნირი იყო. შეჯიბრებაში, უმთავრესად, მწვრთნელების – როზა გერიკაშვილის, ირმა სოლოღაშვილის, ინგა მენთეშაშვილის, გია მარმარაშვილისა და როსტომ კალოევის აღსაზრდელები ეპაექრებოდნენ ერთმანეთს მედლებისთვის.**

პარიზის ოლიმპიადის მონაწილე 16 საუკეთესოში მოხვედრის შანსი აქვს საქართველოს ნაკრების ოთხ წევრს: ლუბა გოლოვინა ამჟამად რეიტინგით მეთორმეტეა, მარიამ რაგიმოვა – მე-17, ანანო აფაქიძე – 24 და თეონა ჯანჯღავა – 30-ე ადგილზეა. როგორც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაურ სულაშვილმა** გვითხრა, ჩვენს სპორტსმენებს პარიზის თამაშებზე მოსახვედრად მსოფლიოს თასის ორი გათამაშება დარჩათ: პირველი გაისად 20-25 თებერვალს, მეორე კი მარტის მიწურულს გაიმართება. ვფიქრობთ, ჩვენი გოგონები ოლიმპიადის საგზურის მოპოვებით გაგვახარებენ.

### კვარცხლბეკი

**I თანრიგი. გოგონები.** 1. ანანო ქარსაულიძე (60.000), 2. მარიამ ქარსაულიძე (59.950). 3. მარიამ ბერია (54.510); **ბიჭები.** 1. უტა პოჩიკაშვილი (54.160), 2. გიგა შარმიაშვილი (48.030).

**II თანრიგი. გოგონები.** 1. ალიცია ზაქარაშვილი (55.950), 2. ანამარია ზურაბიშვილი (52.330), 3. ლილე ფრუიძე (51.490); **ბიჭები.** 1.გიორგი კოდიაშვილი (53.370), 2.გაბრიელ ფანჩულიძე (50.940).

**III თანრიგი. გოგონები.** 1. ცირა ლაფაჩი (35.500), 2. ანა ბეთლემიძე (35.400), 3. ელენე მურადაშვილი (33.500); **ბიჭები.** 1. დავით ჩხიკვაძე (60.440), 2. მარკუს შრამი (58.840), 3. ირაკლი გოგოლი (54.450).

**გუნდური. გოგონები.** 1. კლუბი „ჯორჯია" (174.460), 2. გორი (126.850), 3. კლუბი „მჭევრი" (48.000); **ბიჭები.** 1. ტანვარჯიშის განვითარების ცენტრი (60.440), 2. რუსთავი (58.840), 3. „ჯორჯია" (53.370).

**მარიამ ეგაძე,**
**შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტი**



### სეზონის ფინიშზე

## ღირსეულად დახურეს

**რუმინეთის ქალაქ კლუჟში მსოფლიოს გაერთიანებული კარატეს ფედერაციის (WUKF) ორგანიზებით გაიმართა XIV ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 30-მდე ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენს შორის საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის გუნდიც მონაწილეობდა.**

ქართველმა კარატისტებმა კარპატულ ფორუმზე წარმატებით იასპარეზეს და საერთო ჯამში 3 მედალი მოიპოვეს: **ჭაბუკა მახარაძემ** ვერცხლის მედალი აიღო უფროსებს შორის ინდივიდუალური კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში და ასევე ბრინჯაოს მედალი ინდივიდუალურ კატაში. ამ გამარჯვებებით მან ევროპის ჩემპიონის ტიტული თავის სპორტულ კარიერაში უკვე მეშვიდედ მოიპოვა. წარმატებით იასპარეზა 11 წლის **ანდრია საათაშვილმა**, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა სპორტსმენმა ამჯერად ინდივიდუალურ კუმიტეში III ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, ამ შედეგით კი ის უკვე მეორედ გახდა ევროპის პრიზიორი.

ჭაბუკა მახარაძე არის მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ასევე მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და წარმატებული ინსტრუქტორი. შავი ქამრის V დანის მფლობელი საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორია. საერთაშორისო ტურნირებზე ის 2000 წლიდან რეგულარულად წარმატებით ასპარეზობს და მოპოვებული აქვს ყველა სინჯის 100-ზე მეტი მედალი.

**ჭაბუკა მახარაძე, შოტოკან კარატე დოს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი:**



– ევროპის ჩემპიონატი რუმინეთში მსოფლიოს გაერთიანებული კარატეს ფედერაციის (WUKF) ორგანიზებით გაიმართა სპორტკომპლექს არენაზე. გარდა იმისა, რომ ძალიან დიდი ტურნირი იყო, გამოარჩევდა დიდი კონკურენციაც და მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ფორუმს ესწრებოდნენ WUKF-ის პრეზიდენტი ლივიუ კრისანი/Liviu Krisav (რუმინეთი) და გენერალური მდივანი რობერტო პერი/Roberto Perri(ბელგია). 2009 წლიდან მე ვარ WUKF-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, შესაბამისად, ამ ფედერაციის ორგანიზებულ საკონტინენტთაშორისო შეკრებებზე, სემინარებზე, საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებზე მუდმივად ვმონაწილეობ, სადაც აღებული მაქვს ყველა სინჯის უამრავი მედალი.

ევროპის ჩემპიონობა პირადად მომილოცეს WUKF-ის პრეზიდენტმა ლივიუ კრისანმა/Liviu Krisan და გენერალურმა მდივანმა რობერტო პერიმ/Roberto Perri. დავძენ, რომ რუმინეთში, კლუჟში ევროპის ჩემპიონატზე წელსაც ძალიან კარგად იასპარეზა ჩემმა მოსწავლემ, 11 წლის ანდრია საათაშვილმა.

# თურმე რა არ ხდება საზღაპრეთში

**გამომცემლობა „მერიდიანმა“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით წიგნად გამოსცა აკაკი დაუშვილის ზღაპარი „მზეთუნახავ ცაზუსა და კაცუნა დუდუსის თავგადასავალი“. წიგნმა 2023 წელს გაიმარჯვა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ კონკურსში „საბავშვო ლიტერატურის მხარდაჭერა (თარგმნა, შექმნა)“**




„მზეთუნახავი ცაზუსა და კაცუნა დუდუსის თავგადასავალში“ ასახული ამბები ბავშვებს დააფიქრებენ სიკეთესა და ბოროტებაზე, სულიერ და მორალურ ღირებულებებზე. ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი ღირსება ორიგინალური სიუჟეტი და საინტერესო პერსონაჟთა სიმრავლეა. მზეთუნახავი ცაზუ შეარიგებს და დაამეგობრებს მტრად ქცეულ – ლამაზთა ციხე-ქალაქის (სადაც მხოლოდ ლამაზებს უშვებენ) და უცნაურთა ციხე-ქალაქის მცხოვრებლებს.

ნაწარმოები მარტივი, ბავშვებისათვის იოლად აღსაქმელი ფაბულის მქონეა, სადაც ადამიანებს, ცხოველებსა და გამოგონილ არსებებს შორის ზღვარი იშლება და ბავშვებს ცნობისმოყვარეობას, სიკეთის გაკეთების სურვილს აღუძრავს.

ბედნიერი დასასრული აუცილებელია ყველა ზღაპრისთვის და „მზეთუნახავი ცაზუსა და კაცუნა დუდუსის თავგადასავალიც“ კეთილად სრულდება, დაპირისპირებული მხარეები დამეგობრდებიან.

გთავაზობთ წიგნის რედაქტორის **ვანო ჩხიკვაძის** წინათქმას:

„ის, რაც ცხადში წარმოუდგენელია, საზღაპრეთში არაფერია შეუძლებელი – ფურცლის მტრედმა, მეზობელი გოგონას ფანჯარაში რომ შეფრინდა, ერთმანეთს ბიჭის და გოგონას დახატული, სასაცილო კაცუნა, ძაღლი ბინგო და ვარდისფერკაბიანი მზეთუნახავი შეახვედრა.

ზღაპარი რის ზღაპარია, თუ მისი გმირები ფურცელზე უმოძრაო ნახატებად დარჩებოდნენ – კეთილი ჯადოქრის წყალობით, ქალაქს რომ გადაუფრინა, გაცოცხლდნენ, დამეგობრდნენ და აქედან დაიწყო საინტერესო თავგადასავალი, რაც შემდგომში გადახდათ...

ამ ყველაფერს, ნორჩი მკითხველი ცნობილი საბავშვო მწერლის აკაკი დაუშვილის ნაწარმოებში „მზეთუნახავ ცაზუსა და კაცუნა დუდუსის თავგადასავალი“ – გაეცნობა.

ზღაპარში, როგორც წესი, რა თქმა უნდა საბოლოოდ სიკეთე, ერთმანეთის თანადგომა, სილამაზე იმარჯვებს და მწერალი, ამ მარადიულ ღირებულებათა დასაცავად მოუწოდებს თავის ერთგულ მკითხველებს“.

წიგნის ილუსტრაციების ავტორია ცნობილი მხატვარი **მალხაზ კუხაშვილი**.

# „ოლე“ №6

**გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2023 წლის მეექვსე ნომერი.**

ჟურნალი იხსნება **აკაკი დაუშვილის საპრემიო სიტყვით** (პრემია „საგურამო“).

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით ქვეყნდება **ფარნა რაინას** კატრენების ახალი ციკლი, **თინათინ თელავველის, პოეტ პოეტიშვილის, ნათელა ქურციკიძის, ნუნუ ძამუკაშვილის, თამარ კოლელიშვილის, ანა მანოშვილის, ნათელა ქურციკიძის, თეა ყავრელიშვილის, ნოდარ იაგორაშვილის, აკაკი ბიძინაშვილის, დარეჯან ჭანკოტაძის, კახაბერ პავლიაშვილის, გიული ჩიხიაშვილის** ლექსები; **ლანა მანველის** რომანის „სად არის ბედნიერება“ გაგრძელება, **ნინო ძამუკაშვილის, ივეტა პავლიაშვილის, ზაირა მინდელის** მოთხრობები.

რუბრიკაში „ბავშვებისთვის საკითხავი“ გაეცნობით **აკაკი დაუშვილის** საბავშვო მოთხრობას „მცივანა თოვლის ბაბუა“.

„თარგმანის“ რუბრიკაში წაიკითხავთ **ფაზილ ისკანდერის** მოთხრობას „უმადური დამნაშავე“. თარგმნა **გიზო ზარნაძემ**.




რუბრიკაში „მწერლის წერილი მოსწავლეებს“ ქვეყნდება **მაია გვიჩიას** „ცხოვრება ერთხელ გეძლევათ და ის ტყუილად არ უნდა გაფლანგოთ“.

„კრიტიკა-პუბლიცისტიკის“ რუბრიკაში წაიკითხავთ **ნინო დარბაისელის „ბიოგრაფია** ანუ მანძილი პოეტის დაბადებიდან – პოეტად ქცევამდე“.

რუბრიკაში „მწერალთა ახალი თაობა“ ქვეყნდება **ნუნუ ძამუკაშვილის** ინფორმაცია.

გარეკანის პირველ გვერდზე ზამთრის შთაბეჭდილებას შეგიქმნით **ვანო გოცირიძის** ნახატი.

შეგახსენებთ, რომ ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი)** და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი)** მხარდაჭერით.

# რა იწინასწარმეტყველა ვანგამ 2024 წლისთვის?!

## გამომჟღავნდა ვანგას შვიდი წინასწარმეტყველება 2024 წლისთვის.

### 1) პუტინის სიკვდილის მცდელობა

ვანგამ იწინასწარმეტყველა, რომ 2024 წელს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მკვლელობას შეეცდებიანო;

### 2) ტერორისტული და ბიოლოგიური თავდასხმები

მან გაგვაფრთხილა ევროპაში ტერორისტული თავდასხმების გაზრდის შესახებ და ასევე იწინასწარმეტყველა, რომ „დიდი ქვეყანა“ 2024 წელს ჩაატარებს ბიოლოგიური იარაღის ტესტებს ან თავდასხმებს.

### 3) მასშტაბური ეკონომიკური კრიზისი

მომავალ წელს მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკური კრიზისი, სადაც ვალის დონის მატება და გეოპოლიტიკური დაძაბულობის ესკალაცია მთავარი ფაქტორებია.

### 4)ბუნებრივი კატასტროფები

მისი პროგნოზით, მომავალ წელს მოხდება ამინდის მნიშვნელოვანი ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფები.

### 5) კიბერშეტევების რაოდენობის ზრდა

გარდაცვლილი ნათელმხილველის თქმით, კიბერშეტევების რიცხვი გაიზრდება. მოწინავე ჰაკერები თავს დაესხმებიან კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, როგორიცაა ელექტროქსელები და წყლის გამწმენდი ნაგებობები, რაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

### 6) სამედიცინო მიღწევები

ვანგას თქმით, 2024 წელს გამოჩნდება უკურნებელი დაავადებების, მათ შორის ალცჰაიმერის დაავადებისა და კიბოს მკურნალობის ახალი საშუალებები.

### 7) ტექნოლოგიური გარღვევა

მან ასევე იწინასწარმეტყველა, რომ იქნება მნიშვნელოვანი გარღვევა კვანტურ მეცნიერებაში.




## არდავიწყება



**72 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მამულიშვილი, მწერალი, პუბლიცისტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, დამსახურებული ჟურნალისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ილია-ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, ივანე მაჩაბლის და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული კაცი, ღირსეული დამცველი ქართული ტრადიციებისა და სიწმინდისა, უშესანიშნავესი პოეტი და თვალადური სიტყვის ოსტატი**

# თემურ ჩალაბაშვილი

**გულწრფელად ვუსამძიმრებთ თემურ ჩალაბაშვილის ოჯახის წევრებს, მეგობრებს, კოლეგებსა და სრულიად საქართველოს.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ 105 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“

ხელმოწერისთვის მიმართეთ:

შპს „ელვა ჯი“
595 382 626; 2 38 26 73;
2 38 26 74
577 308 847

შპს „პლანეტა ფორტე“
579 79 99 08; 599 94 73 11

წერილები გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

SAKRESP@TOP.GE SAKRESP@MAIL.RU

დახმარების მსურველები დაგვიკავშირდით:

თბილისი, ა. წერეთლის პროსპექტი №116, „დიდუბე პლაზა“ – საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ ოფისი.

ნებისმიერი რაოდენობის შემოწირულობის (დახმარების) თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშზე
GEO90BG0000000538329790

შპს „100 – ახალი საქართველოს რესპუბლიკა“, გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ გამომცემელი.
ტელ: 599 36 00 35, 577 77 27 17



# ბიძინა ივანიშვილის ქონებამ 6,55 მილიარდ დოლარს მიაღწია

**2023 წლის 27 დეკემბრის მონაცემებით, ქართული ოცნების დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ქონებამ რეკორდულ, 6,55 მილიარდ დოლარს მიაღწია,** – ინფორმაციას ამის შესახებ Bloomberg ავრცელებს.

**ამავე წლის 13 ივლისის მონაცემებთან შედარებით, ივანიშვილის ქონება დაახლოებით 35 მილიონი დოლარით გაიზარდა, აქედან გამომდინარე, მან მილიარდერთა ინდექსში 411-ე ადგილიდან 396-ე ადგილზე გადაინაცვლა.**

როგორც Bloomberg წერს, ბიძინა ივანიშვილმა თავისი ქონების უდიდესი ნაწილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეძენილი პრივატიზებული აქტივების გაყიდვით მიიღო.

**„ივანიშვილმა შექმნა რამდენიმე მჭიდრო ბიზნესი 1990-იან და 2000-იანი წლების დასაწყისში, მათ შორის ბანკები Rossiysky Kredit და Impex, მარცვლეულის გადამამუშავებელი Stoylenskaya Niva და დოქტორ სტოლეტოვის საათოთიაქო ქსელი. მან ასევე ჩადო ინვესტიცია მოსკოვის უძრავი ქონებისა და ქონების განვითარების პროექტებში. მან მოიპოვა 2,6 მილიარდი დოლარი ამ აქტივების ნაწილის გაყიდვით 2003-2006 წლებში. დანარჩენი 1,5 მილიარდი კი მან 2012 წელს გაყიდა – საქართველოს საპარლამენტო არჩევნების წინ, რომლის შედეგადაც ის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გახდა“,** – წერს გამოცემა.



# კოსმოსში „საშობაო ნაძვის ხე“ აინთო

**აშშ-ის კოსმოსურმა სააგენტომ (NASA) კლასტერის NGC 2264 ვარსკვლავთა შეჯგუფების ფოტო გამოაქვეყნა, რომელიც საშობაო ნაძვის ხეს ჰგავს.**

სპეციალისტებმა გამოსახულება ორი ტელესკოპის მონაცემების გამოყენებით შექმნეს – Chandra lf Wisconsin-Indiana-Yale-NOAO (WIYN). მათ ასევე გამოსახულება 160 გრადუსით შეატრიალეს, რათა ნაძვის ხეს უფრო დამსგავსებოდა. ეს ნისლეული დედამიწიდან 2500 სინათლის წელიწადის მანძილზე მდებარეობს.

# შობის გატარება ციხეში არჩია

**იტალიაში, კომუნა ფროზინონეს მცხოვრები, რომლებმაც მსუბუქი დანაშაულის გამო შინაპატიმრობა აქვს მისჯილი, გაიქცა, რადგან შობის პატიმრებთან აღნიშვნა უნდოდა.**

24 წლის მარიო მარტო ცხოვრობს. შინაპატიმრობის დროს მას მარტოობა მოჰბეზრდა, ამიტომ სახლი ისე დატოვა, რომ ამის შესახებ არც პოლიციას და არც თავის ადვოკატს არ შეატყობინა. კაცი ციხის შენობასთან მივიდა და ითხოვდა, რომ სასჯელის ბოლომდე პატიმრობაში აეყვანათ.

მაგრამ ციხის თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს და მარიო ოფიცრებს გადასცეს, რომლებმაც კაცს საშუალება მისცეს თხოვნით მოსამართლისთვის მიემართა, უარის მიღების შემდეგ კი სახლში დააბრუნეს. უცნობია რამდენი დრო დარჩა მარიოს სასჯელის მოხდამდე. თუმცა, გაქცევის გამო მას დამატებითი სასჯელი ემუქრება.





# 2024 წელს საქართველო მსოფლიო ტურიზმის დღეს უმასპინძლებს

**გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) გადაწყვეტილებით, 2024 წელს საქართველო უმასპინძლებს მსოფლიო ტურიზმის დღეს.**

ტურიზმის ადმინისტრაციის ცნობით, 2024 წელს დაგეგმილი ღონისძიების მთავარ თემატიკას წარმოადგენს „ტურიზმი და მშვიდობა“. მსოფლიო ტურიზმის დღისადმი მიძღვნილ მასშტაბურ ღონისძიებებზე დასასწრებად, რაც მოიცავს კულტურული ღონისძიებების და თემატური სადისკუსიო პანელების გამართვას და ასევე, ქვეყნის სხვადასხვა ტურისტული ადგილის მონახულებას, საქართველოს ეწვევიან UNWTO-ს გენერალური მდივანი, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტურიზმის მინისტრები და სხვა მაღალი რანგის სტუმრები. წარმოდგენილი ღონისძიების საქართველოში გამართვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის როგორც გამორჩეული ტურისტული დანიშნულების ადგილის პოზიციონირებას მსოფლიოს მასშტაბით.

# აფხაზებმა ბიჭვინთის აგარაკი რუსებს დაუთმეს

**რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა გუშინ დაამტკიცა ბიჭვინთის აგარაკის რუსეთისთვის გადაცემის შესახებ შეთანხმება,** – ამის შესახებ განცხადება ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის სპიკერმა, ლაშა აშუბამ გააკეთა.



გადაწყვეტილებას ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის 25 წევრმა დაუჭირა მხარი. ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ოპოზიცია და მოსახლეობის ნაწილი ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ და მის გაუქმებას ითხოვენ. ამ მოთხოვნით ე.წ. პარლამენტის შენობასთან მთელი ღამის განმავლობაში საპროტესტო აქცია იმართებოდა.

# თავშესაფრიდან – საკუთარ სახლებში

**აშშ-ში, პენსილვანიის შტატის ადამსის ოლქის ცხოველთა თავშესაფარმა შობამდე 2 კვირით ადრე ყველა თავისი ბინადრისთვის სახლების პოვნა შეძლო.**

თავშესაფრის თანამშრომლებმა 598 ძაღლი და კატა დააბინავეს. ბოლოს ასეთი რამ თავშესაფარში 47 წლის წინ მოხდა.

**„2 კვირის წინ ვოლიერები პრაქტიკულად სავსე გვქონდა. ახლა ძაღლები საერთოდ არ გვყავს. დაგვრჩა მხოლოდ ერთი მიუსაფარი კატა, რომელიც ჩვენთან სულ ცოტა ხნის წინ მოხვდა. მომავალ კვირას წამოვიყვანთ ცხოველებს პენსილვანიის სხვა თავშესაფრებიდან, იმ იმედით რომ მათ საქმიანობას შევუმსუბუქებთ“,** – ამბობენ თავშესაფარში. არსებული მონაცემებით, წლის განმავლობაში აშშ-ის თავშესაფრებში 6,3 მილიონი ცხოველი ხვდება.



ახალი სახლების პოვნა 4,1 მილიონისთვის ხერხდება, 920 ცხელი კი ევთანაზიის მსხვერპლი ხდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
ზორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 4 იანვარს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6878; ევრო - 2.9614;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4183;
100 რუბლი - 2.9290; თურქული ლირა - 0.0920;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5797;
1000 სომხური დრამი - 6.6344

**ამინდი 28 დეკემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +4 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +9 |
| თბილისი: | ღამე | +6, | დღე +12 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge